# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 15 იანვარი 1999 №4 (777) | ფასი 50 თეთრი

3

## პირველი უცხოელი მწვრთნელი ქართულ ფეხბურთში

60-იანი წლების კიევის „დინამოს“ ბომბარდირი ვიქტორ კანევსკი „ვიტ ჯორჯიას“ უკონსულტანტებს

7

## ფიფა მილიონი დოლარით შეგვეწევა



დიდი ქვეყნებისთვის ეს ზღვაში წვეთია, პატარებისთვის კი სოლიდური თანხა

9

## როცა კერპებსაც სჯობნი



17 წლის ვუნდერკინდ ლეიტონ ჰიუიტის მსხვერპლთა სიას მორიგი ვარსკვლავის სკალპი შეემატა

11

## როგორ შევკრიბოთ ვარსკვლავები?

წლევანდელმა all-star game-მა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია



REUTERS ჩიკაგოდან

# ჯორდანი
## ერთი და ღმერთი



REUTERS ჩიკაგოდან

„ადამიანებში პირველი კალათბურთელები ლარი ბერდი და მე ვართ, ხოლო კალათბურთის ღმერთზე — მაიკლ ჯორდანზე არც ვლაპარაკობ“ — ეს სიტყვები ლეგენდარულმა მეჯიქ ჯონსონმა თქვა ამ ხუთიოდე წლის წინ.

1999 წლის 13 იანვარს „კალათბურთის ღმერთმა“ თავის სამყარო დატოვა. ამჯერად, ალბათ, საბოლოოდ.

ეს ამბავი ჯორდანმა ჩვეულებრივი მოკვდავივით გააკეთა. ჩიკაგოში, „იუნაიტედ ცენტრში“ პრესკონფერენცია მოაწყო, აურაცხელი ჟურნალისტის თვალწინ მეუღლე ხუანიტას თანხლებით გამოცხადდა და თქვა: „მე მივდივარ“.

ჯორდანი ერთხელ უკვე წავიდა კალათბურთიდან. ეს 1993 წლის 6 ოქტომბერს მოხდა. ის გაყრა წელიწადნახევრიანი აღმოჩნდა — ღმერთკაცი იოლად ვერ შეელია თავის სამწყსოს და დაბრუნდა.

დაბრუნდა, რათა ახალი გამარჯვებებისთვის მიეღია და სხვა განზომილებაში გადაეტანა თამაში, რომელსაც კალათბურთი ჰქვია. მან ეს შეძლო.

ახალი გაყრა, ალბათ, სამუდამოა. ჯორდანს აღარაფერი აქვს მოსაგები, დასამტკიცებელი და მოსაპოვებელი. იგი ყველა დროის კალათბურთის უპირობო მეუფეა. მისივე სიტყვებს თუ დავესესხებით, ან განვილი გზა უნდა გაიმეოროს, ან ფსკერისკენ წავიდეს. მეუფეებს კი ამის გაკეთება არ შეშვენით.

მაიკლ ჯორდანი ეულად დგას საკალათბურთო ოლიმპზე და იდგება მანამ, სანამ კალათბურთი არსებობს. საკითხავი ისლაა, მოახერხებს ოდესმე ვინმე და გვერდით მოუდგება მას. ალბათ ვერავინ, რადგან მაიკლ ჯორდანია ერთადერთია.

### ეპოქის დასასრული

**ოთხშაბათს**, 13 იანვარს, კალათბურთში დასრულდა დიადი მაიკლ ჯორდანის ერა, ამ დღეს სპორტი დიად სპორტსმენს გამოეთხოვა. წავიდა მაიკლ ჯორდანი და დარჩა დაობლებული საკალათბურთო სამყარო. იგი წავიდა მწვერვალზე ყოფნისას, ისე, როგორც სურდა და როგორც საჭიროდ თვლიდა. სპორტი ეთხოვება დიად სპორტსმენს, რომელსაც ამერიკელები უძლიერესად მიიჩნევენ მუჰამედ ალის შემდეგ. ერთი კია, ყველა თვლის, რომ მაიკლი ასეც უნდა მოქცეულიყო, მიუხედავად იმისა, რომ იგი ახლაც უძლიერესია და, ალბათ, კიდევ ბევრის გაკეთება შეუძლია. მას ყოველთვის სურდა, პირველი ყოფილიყო და იყო კიდეც პირველი. მაიკლ ჯორდანი შემოქმედი იყო. მისი სტიმული და მოტივაცია არასდროს ყოფილა ფული და ის, რომ ბოლო სეზონში ნბა-ში ყველაზე მეტ, 33 მილიონს იღებდა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მას ჩემპიონობისკენ სწრაფვაში ფული ამოძრავებდა. ამგვარად იგი ვერ გახდებოდა ყველა დროის უძლიერესი კალათბურთელი. მაიკლ ჯორდანის პრინციპი ყოველთვის იყო ის, რომ იგი ყველაზე ჟინიანად მიილტვოდა პირველობისკენ. იგი პირველობისთვის იყო დაბადებული. 1993 წელს ჯორდანმა იმიტომ მიატოვა კალათბურთი, რომ მას, როგორც სპორტსმენს, მოსაგები აღარაფერი დარჩა დაწყებული სტუდენტური კალათბურთიდან, დამთავრებული ოლიმპიადით. მაშინ სხვა ვერსიებიც არსებობდა. მაგალითად, ამბობდნენ, მობეზრდა ამგვარი ცხოვრებაო. იგი ხომ ნაბიჯსაც ვერ დგამდა ჟურნალისტებისა თუ თავგადაკლული გულშემატკივრების მომაბეზრებლი მეთვალყურეობის გარეშე. თუმც არც ეს და არც მისი მამის მკვლელობის ვერსია არ შეიძლება ჩაითვალოს ჯორდანის კალათბურთიდან წასვლის მიზეზად. მაშინ ჯორდანმა კალათბურთის გარეშე მხოლოდ წელიწადნახევარი გაძლო და მობრუნების შემდეგ რომელ ტურნირშიც მონაწილეობდა, ყველა მოიგო. იგი წავიდა და ტაშის გრიალით გააცილა ამერიკამ. მისი წასვლით კალათბურთში დიდი ეპოქა გასრულდა. მშვიდობით, მაიკლ!

### პირველ ჩემპიონობამდე

**ჯორდანი** 1963 წლის 17 თებერვალს დაიბადა. ბავშვობაში იგი არ იყო რაიმე განსაკუთრებული ჯან-ღონის პატრონი. 13 წლის ჯორდანი ორი მეტრი არ გახლდათ, მაგრამ თანატოლ ბიჭუნებში იშვიათი ნიჭიერებით გამოირჩეოდა. მისმა უდიდესმა შესაძლებლობებმა, თავდაუზოგავმა შრომამ და პირველობისკენ დაუოკებელმა სწრაფვამ იგი მსოფლიოში უპოპულარულეს სპორტსმენად აქცია. „როდესაც პატარა ბიჭი ვიყავი, ვოცნებობდი კალათბურთი მეთამაშა, მეთამაშა კოლეჯში და მომეგო ეროვნული ჩემპიონატი. ვოცნებობდი მეთამაშა ოლიმპიადაზე და მომეგო ოქროს მედალი, ვოცნებობდი კალათბურთის ეროვნულ ასოციაციაზე, მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებაზე (ამერიკაში ნბა-ს ჩემპიონობას მსოფლიოს ჩემპიონობას ეძახიან). მადლობას ვუხდი ჩემს თანაგუნდელებს, ჩემს მწვრთნელებს და საერთოდ იმ ხალხს, ვინც დამეხმარა, ოცნებები რეალობად მექცია. მე კალათბურთს ყოველთვის მისი სიყვარულის გამო ვთამაშობდი.“ როდესაც მაიკლ ჯორდანი რამდენიმე დღის წინ ამ სიტყვებს ამბობდა, იგი ბედნიერი და ამასთან სევდიანიც ჩანდა.

იხილეთ მერვე გვერდი

# გლოხინი ნემსაძეს გადაეკიდა

საქართველოს ნაკრების კაპიტანსა და ჯერჯერობით შვეიცარიული „გრასჰოპერის“ ფეხბურთელ გიორგი ნემსაძეს ახალ კლუბში გადასვლის შანსი გაუჩნდა. როგორც თავად გიორგიმ გვითხრა, მას უკვე უსაუბრია ათენის „აეკის“ მწვთრნელ ოლეგ ბლოხინთან და სრულიად შესაძლებელია, ამ თვის ბოლოს საბერძნეთის დედაქალაქის „ნიკოს გუმასის“ კოხტა სტადიონსაც ეწვიოს.

შეგახსენებთ, რომ ბლოხინი ჩვენებური ფეხბურთელით ჯერ კიდევ მაშინ დაინტერესდა, როცა სალონიკის „პაოკს“ წვრთნიდა. ადრე წადილი ვერ აისრულა. ახლა კი ნემსაძისთვის უთქვამს, გუდში ერთი მცირე პრობლემა მაქვს, რასაც რამდენიმე დღეში გამოვასწორებ და ათენში გელოდებიო.

საბოლოოდ რა გამოვა ამ საქმიდან, უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. არც ისაა გამორიცხული, გიორგი ნემსაძე პირეოსის „ოლიმპიაკოსში“ ვიხილოთ, თუმცა, ისიც ცხადია, რომ ამ კლუბთან დაკავშირებითაც რაღაც პრობლემაა,



უფრო შემადგენლობის მხრივ. მათი მწვრთნელის ნათქვამიდან საინტერესო რამ ჩავინიშნეთ — „ოლიმპიაკოსი“ ახლა აღმავლობის გზაზეა და ვშიშობ, ახალი ფეხბურთელების შეძენამ გუნდზე უარყოფითად არ იმოქმედოსო.

ერთი კი ნაღდია — გიორგი ნემსაძე „გრასჰოპერს“ ყველა შემთხვევაში დატოვებს. მისთვის მაინცდამაინც მნიშვნელოვანი არც ახალი მწვრთნელის დანიშვნაა, რომელსაც, სხვათა შორის, დიდი სურვილი ჰქონია, რომ გიორგი ციურიხში დარჩეს.

ჩვენ კი ჩვენი ვიკითხოთ. ნემსაძე ნამდვილად არ გვემეტება არც შვეიცარიისთვის, არც ბერძნებისთვის. მისი დონის ფეხბურთელს სხვა, უფრო საფეხბურთო ქვეყანა მოუხდებოდა.

**კობა ინასარიძე**

# უმცროსი ხუჯაძე ტრანსპორტელია

ადრეც ვიტყობინებოდით, რუსთავის „გორდადან“ პირველ წრეშივე წამოსული ირაკლი ხუჯაძე „მერანში“ აპირებს გადასვლასო. ისიც გაცნობეთ, ტრანსპორტელთა გარდა მას სხვა გუნდებიც ეპატიჟებიანო. ხუჯაძემ განზრახვა სისრულეში მოიყვანა და „მერანში“ გადაბარგდა. კონტრაქტისთვის ხელი ჯერ არ მოუწერია, მაგრამ არც დაყოვნებას აპირებს. ხელშეკრულება სავარაუდოდ ერთწლიანი ან ექვსთვიანი იქნება.

ავჭალელები სამეორეოწრეო სამზადისსაც შეუდგნენ. გუნდის ნახევარს მწვრთნელმა სერგო გაბელიამ კუს ტბაზე სირბილი და ფიზიკურად მოლონიერება დაავალა, ნახევარი კი სპორტის დეპარტამენტის დარბაზში მინი-ფეხბურთის ტურნირისთვის ემზადება, მერე კი შეიცვლებიან. ჯერჯერობით ასეა. მერე მწვანე მინდორზეც გადაინაცვლებენ.

**გიორგი ვაშაკიძე**

# არ გადაიხდით? გადაიხდით

მოგეხსენებათ, საქართველოს ფეხბურთის ფედარციის ახალმა ხელმძღვანელობამ სამუშაოს დაწყებისთანავე ყველა გუნდს აცნობა, ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრიდან მსაჯების გასასტუმრებელ ფულს ჩვენს თავზე ვიღებთ, თქვენ მეტად აღარ შეგაწუხებთო.

ისიც გეხსომებათ, ფედერაციის გენერალურმა მდივანმა შარშან რომ გვითხრა, ლანჩხუთის „გურიას“ პირველი ჯგუფიდან ვერ მოვკვეთავდით, რადგანაც მოსაკვეთი ბარე ექვსი-შვიდი გუნდიც კი იყო, მსაჯ-ინსპექტორს რომ ვერ ისტუმრებდაო. დებულებაში, მატჩზე არგამოცხადებისა და თემიდის მსახურთათვის ფულის არ გადახდისათვის კი სასჯელი ერთი იყო — ჩემპიონატიდან გარიცხვა. მაშინ სწორედ ამიტომ შეიკავა თავი ფედერაციამ „გურიას“ დასჯისაგან. იმედია, გაზაფხულიდან ზომები რადიკალური იქნება, ისინი აღარავის შეიბრალებენ. ყოველ შემთხვევაში, საქმეს ასეთი პირი უჩანს.

გუშინ, ბევრი ფიქრის შემდეგ, ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს, რომელთაც მსაჯების დავალიანება აქვთ, ფეხბურთის ფედერაციიდან ასეთი რამ შეუთვალეს: თუ 1 თებერვლამდე მსაჯებს ვალს არ გაუსტუმრებთ, ფედერაცია თქვენს ფულს არ გადაიხდის და მთელი მეორე წრის მანძილზე ისევ თქვენი გასასტუმრებელი იქნებიან მსაჯები. იმ შემთხვევაში კი, თუ ფედერაციას დაემორჩილებით და თებერვლამდე თანხას გადაიხდით, მეორე წრიდან მსაჯთა გასტუმრებისაგან გათავისუფლდებითო.

რას ერჩით, ფედერაციამ დასჯის ორიგინალურ ხერხს მიაგნო.

**კობა ინასარიძე**

# ლიდერი გასაჭირში

ხობის „კოლხეთი“ პირველ სამ ეროვნულ ჩემპიონატში პირველ ჯგუფში ბინადრობდა. გუნდმა მეოთხე გათამაშებაც იქვე დაიწყო, მაგრამ 1992 წლის შემოდგომაზე დასავლეთ საქართველოში დატრიალებული ცნობილი მოვლენების გამო „კოლხეთი“ ასპარეზობას გამოეთიშა. ამას კი საკმაოდ ხანგრძლივი „სიჩუმე“ მოჰყვა. რამდენიმე წელი ხობი საერთოდ უფეხბურთოდ იყო. მაგრამ ენთუზიასტთა ძალისხმევით გუნდი აღორძინდა და მეორე ჯგუფში დაიწყო თამაში. მეცხრე ჩემპიონატში კოლხებმა პირველ ჯგუფში დასაბრუნებლადაც გაიბრძოლეს, მაგრამ სულ ბოლოს მოეცარათ ხელი.

„კოლხეთი“ საიუბილეო გათამაშებაშიც აღზევებას ლამობს. ეს პირველმა წრემაც დაადასტურა. ხობელები დამაჯერებლად ლიდერობენ დასავლეთის მეორე ქვეჯგუფს. ჰო, გუნდი პირველობს და ლიდერის მწვრთნელსაც ეს უნდა უხაროდეს. კოლხთა დამრიგებელმა ფრიდონ გოცირიძემ კი დარდი გაგვიმხილა:

— ორ თვეში მეორე წრე დაგვეწყება. ქვეჯგუფში გამარჯვების მართლაც დიდი შანსი გვაქვს, მაგრამ, შესაძლოა, ნაოფლარი წყალში ჩაგვეყაროს. გუნდი მოთამაშეებისგან იცლება. ჩვენ ფეხბურთელებზე ნადირობაა გამოცხადებული. თავად განსაჯეთ. უდავოდ პერსპექტიული ნახევარმცველი 18 წლის ლევან გვაზავა, რამდენადაც ვიცი, კიევის „დინამოშია“ გასინჯვაზე. უკრაინასვე, დონეცკის „შახტიორს“ ემიზნება მცველი როინ ონიანი. გუნდიდან წასვლას აპირებს მცველი ზურაბ აიანადი, ოღონდ საით, უცნობია. ყველას თავის გზაზე გაუმარჯოს, მაგრამ ჩვენც ხომ ცოდონი ვართ...

**იუზა ქაციტაძე**

# რომელი მხარე სჯობია?!

როგორც ერთი სპორტული ჩინოვნიკი ამბობს ხოლმე, ქართული ფეხბურთის პირამიდის მწვერვალი ეროვნული ნაკრებია. ამ ფრაზას რომ ფრთები შევუკვეცოთ, გამოვა, რომ ნაკრები ყოფილა ქვეყნის საფეხბურთო დონის განმსაზღვრელი ნიშანი. და თუ ეს ასეა, მაშინ ნაკრების ბედი და სახე უმთავრესი უნდა იყოს მათთვის, ვინც დღეს ქართული ფეხბურთის საქმეებს განაგებს. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ არ ეშველა ამ ჩვენს „შინდისფერებს“ არაფერი. შველა კი არა და, სულ უკან-უკან მიდიან. ადრე თუ ინგლისთან 0:2-ს აგებდნენ, ახლა ბერძნებთან 0:3-ზეც მადლობლები არიან. თუმცა, ეს არ უნდა იყოს არც მწვრთნელების, არც ფეხბურთელების, არც პატრიოტიზმისა და არც შიდაკონფლიქტების ბრალი. მართალია, არც მთლად უამისობაა, მაგრამ მთავარი, ალბათ, მაინც პრინციპის საკითხია.

საერთოდ, ნაკრების დაკომპლექტების ორგვარი პრინციპი არსებობს: ერთი „ვარსკვლავური“ (ანუ ლეგიონერებისგან შემდგარი) და მეორე საბაზო გუნდზე დაფუძნებული. ქართველები დღემდე პირველს მისდევდნენ, რაც მათი მენტალიტეტისა და ეკონომიკური შეძლების გათვალისწინებით უფრო რეალურია. მაგრამ ამ გზას არანაირი ხეირი არ მოუტანია არც ნაკრებისთვის და არც მისი ფეხბურთელებისთვის (სპორტულ ხეირს ვგულისხმობთ). ამიტომ, ეგებ მეორე ვარიანტზეც დაფიქრებულიყვნენ. ეს „მეორე“ დღეს ჩანს არარეალურად, თორემ ხვალ და ზეგ, შესაძლოა, მოხერხდეს კიდეც.

გვინდა თუ არა, რაც რუსეთში ხდება, იგივე მალე საქართველოშიც მეორდება-ხოლმე და ნაკრების შემთხვევაშიც ასეა. ჰყავდათ რუსებს „ვარსკვლავური“ გუნდი, ითამაშეს, ითამაშეს და რომ ვერაფერს შესწვდნენ, ახლა „სპარტაკის“ ბაზაზე გადაწყვიტეს ახლის შენება. ადრე თუ გვიან, ალბათ, ქართველებიც იმავეს გაიმეორებენ. სხვა გამოსავალი აღარ ექნებათ და იმიტომ. ისე არავინ გაგვიგოს, თითქოს ლეგიონერების წინააღმდეგი ვიყოთ. ღმერთმანი, რაც მეტი ფეხბურთელი წავა ძლიერ კლუბში, უკეთესი ჩვენთვის, მაგრამ ამ შემთხვევაში, ნაკრებზე, გუნდზე ვლაპარაკობთ და არა ცალკეულ მოთამაშეებზე.

რაც შეეხება საბაზო გუნდს. აქ, ცხადია, არ იგულისხმება, რომ ნაკრების ძირითადის თერთმეტივე ფეხბურთელი ერთ კლუბში თამაშობდეს. საქართველოს ამის არც საშუალება ექნება არასდროს და პრაქტიკიდანაც ჩანს, რომ „აბსოლუტურად საბაზო“ გუნდები არ ამართლებდა. მაგალითისთვის, თუნდაც 70-იანი წლების კიევის „დინამო“ ავიღოთ. მაშინ ის გუნდი ვერც ერთ სანაკრებო ამოცანას ვერ შეეჭიდა. იმავე კიეველებმა ამ ექვსიოდე წლის წინ ისევ „დინამო“ გაანაკრებეს და შედეგი რომ ვერ მიიღეს, სხვა გზა აირჩიეს: „დინამო“ საბაზო გუნდად დატოვეს, თანაც „შახტიორის“, „კარპატის“, „ჩერნომორეცისა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ მოთამაშეები დაახმარეს. წინსვლა რომ დაინახეს, მეზობლებს რუსებმაც მიბაძეს. ნაკრებში მობრუნებულმა რომანცევმა პირდაპირ თქვა: „ვარსკვლავები“ არ მჭირდება. ნაკრების საბაზო გუნდი „სპარტაკი“ იქნება და მას რამდენიმე ლეგიონერს, იმათაც ყოფილ სპარტაკელებს დავამატებო.

საბაზო გუნდის პრინციპით იყო დაკომპლექტებული 70-იანი წლების დასაწყისის გფრ-ის (ბაიერნი) და ჰოლანდიის (აიაქსი), 80-იანი წლების დასაწყისის იტალიის (იუვენტუსი) ნაკრებები. მათი წარმატებები ყველას კარგად მოეხსენება. კეთილი, „აიაქსთან“, „ბაიერნთან“ და „იუვესთან“ ქართული საფეხბურთო მეურნეობა რა მოსატანია, მაგრამ აქ პრინციპზეა ლაპარაკი.

ახლა 90-იანი წლების დასაწყისის „ბრონდბიუ“ გავიხსენოთ. ჩვენში ხშირად ამბობენ, დანიას უნდა მივბაძოთ, ჩემპიონატი არ უვარგათ, მაგრამ ლეგიონერების ხარჯზე მშვენიერი ნაკრები ჰყავთო. ესეც მართალია, მაგრამ იმ „ვარსკვლავურ“ ნაკრებს, მართლაც უდიდეს გუნდს, შედეგის თვალსაზრისით, არაფრისთვის მიუღწევია. 92-ში კი შვედეთში შემთხვევით მოხვედრილი დანია ევროპის ჩემპიონი გახდა. საინტერესო ისაა, რომ იმ ნაკრების ძირითადი ბირთვი (შმაიხელი, ვილფორტი, კრისტოფტე, ლარს ოლსენი, კრისტენსენი, ფრანკი და კროგი) ჩემპიონატამდე რამდენიმე თვით ადრე „ბრონდბიუში“ თამაშობდა, კლუბში, რომელსაც საშუალო ევროპულსაც ვერ დავარქმევთ, რომელიც დაახლოებით საქართველოს დარ ეროვნულ პირველობაზე გამოდის და არც ფული უწყვია ტომრებით.

არც რიგის „სკონტოს“ მოთამაშეებს უნდა ჰქონდეთ ზღაპრული ჯამაგირი, მაგრამ მის ბაზაზე შექმნილმა ლატვიის ნაკრებმა ნორვეგიაში მოუგო ნორვეგიას და ზედ ქართველებიც მიაყოლა. „შინდისფერები“ კი ოსლოში როდის მოიგებენ, ერთმა ღმერთმა უწყის. გამოდის დღეს ლატვიელებს ქართველებზე ძლიერი გუნდი ჰყავთ. თუ არ გჯერათ, ჩახედეთ მეორე შესარჩევი ჯგუფის ცხრილს და ყველაფერი ნათელი გახდება.

ასე რომ, იქნებ ღირდეს მეორე ვარიანტზე დაფიქრება.

**სოლომონ გულისაშვილი**



ეღირსება „დინამოს“ ნაკრების საბაზო გუნდად გახდომა?


ს.კ. "ოლიმპიკი"
თბილისი TBILISI GEORGIA საქართველო

საფეხბურთო კლუბი
"ოლიმპიკი"
აცხადებს 1985-92 წლებში დაბადებულ მოზარდთა მიღებას. მიღება იწარმოებს შერჩევით, 18 იანვრიდან ყოველდღე 14-დან 16 საათამდე.
თბილისი, დიღმის მასივი, ლიუბლიანის ქუჩა №11.
ბავშვთა მე-2 საავადმყოფოსთან.
☎ 531016



სკ „დინამო“ სამძიმარს უცხადებს „მრეტების“ პრეზიდენტს ირაკლი ქავთარაძეს მამის, თბილისის „დინამოს“ უერთგულესი გულშემატკივრის
გურამ ქავთარაძის
გარდაცვალების გამო



სარბიელელები თანავუგრძნობთ სკ „მრეტების“ პრეზიდენტს ირაკლი ქავთარაძეს მამის
გურამ ქავთარაძის
გარდაცვალების გამო

# ქართულ ფეხბურთში უცხოელი მწვრთნელი გამოჩნდა



გურამ რუხაძე და ბორის ხურგინი

რაც ქართული ფეხბურთი დამოუკიდებლობის გზას დაადგა, არ ყოფილა შემთხვევა, უცხოელი მწვრთნელი ჩამოსულიყოს და ქართული კლუბი გაეწვრთნას. პირველი გუნდი, ვინც უცხოელი სპეციალისტის მოწვევა შეძლო, თბილისის „ვიტ ჯორჯია" გახდა. კლუბის პრეზიდენტის გურამ რუხაძის თქმით, უკვე გაფორმდა კონტრაქტი წარსულში ცნობილ უკრაინელ ფეხბურთელთან, კიევის „დინამოს" ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ბომბარდირ ვიქტორ კანევსკისთან. კანევსკი ვიტელთა მწვრთნელ-კონსულტანტი იქნება. იგი თბილისში 20 თებერვლისთვის ჩამოვა და აქ 45 დღე დარჩება. კონტრაქტის მიხედვით, კანევსკი ყოველ წრეში მინიმუმ 45 დღე იმუშავებს კლუბში. იგი მონაწილეობას მიიღებს საწვრთნელ პროცესში, დაეხმარება მწვრთნელებს და გარდა ამისა, იქნება „ვიტ ჯორჯიას" აგენტი ამერიკის კონტინენტზე. კანევსკი კარგა ხანია ამერიკაში ცხოვრობს და საქმიანობს. აქვს საკუთარი საფეხბურთო სკოლა. თავისი კონტაქტების საშუალებით კი ვიტელებს ტრანსფერების განხორციელებაშიც დაეხმარება.

ვიქტორ კანევსკისთან დაკავშირება ქართველებმა ბორის ხურგინის დახმარებით შეძლეს. ხურგინი ფირმა WIT-ის პრეზიდენტია. სწორედ მის ფილიალს წარმოადგენს ფირმა „ვიტ ჯორჯია", რომელსაც ეკუთვნის თბილისური კლუბი.

ახლა გუნდში მომხდარ სხვა ამბებზეც ვთქვათ. მეორე წრისთვის მზადებას ვიტელები, როგორც დაგეგმილი ჰქონდათ, 5 იანვარს შეუდგნენ და 20 თებერვლამდე ანუ წყალტუბოს „სამგურალთან" თასის პირველ მეოთხედფინალურ შეხვედრამდე, მკაცრად განსაზღვრული გრაფიკით ივარჯიშებენ. გურამ რუხაძის თქმით, მზადების პერიოდში ორკვირიანი შეკრებაცაა დაგეგმილი.

რაც შეეხება გუნდში მომხდარ ცვლილებებს, პირველი წრის შემდეგ წავიდნენ დიმიტრი აბაზაძე, თენგიზ ენუქიძე, კახა დვალიშვილი და ლევან კვიციანი, რომლებმაც მთავარი მწვრთნელის ჯემალ მახარაშვილის მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილეს. რიგის „სკონტოში" გასასინჯად იმყოფება ზურაბ მენთეშაშვილი. ბოლო ცნობით, მისი ლატვიაში დარჩენის საკითხი ჯერ კიდევ არ ყოფილა გარკვეული. იმ შემთხვევაში, თუ ზურა საქართველოში დაბრუნდა, კარიერას აუცილებლად „ვიტ ჯორჯიაში" გააგრძელებს. დამატებით კი ვიტელებს ოფიციალურად ჯერ არავინ დაუმატებიათ, თუმცა გუნდში ვარჯიშობენ გორელი გიორგი ჩიტაია და აკადემიელები — მეტრეველი და ხაბულიანი. მომავალ კვირაში გუნდს შეუერთდებიან „დილას" წამყვანი ფეხბურთელი ალეკო კაიდარაშვილი და „ტორპედოს" სათადარიგო მეკარე დავით მამარდაშვილი, რომელიც სამტრედიის „იბერიაში" აპირებდა წასვლას, მაგრამ ეტყობა, გადაწყვეტილება შეიცვალა. მალე მათ კიდევ სამი ახალი ფეხბურთელი დაემატებათ, რომელთა ვინაობის გამხელისგან კლუბის პრეზიდენტმა ჯერჯერობით თავი შეიკავა. საბოლოოდ მახარაშვილს ამ რვა ფეხბურთელიდან მოუწევს ხუთი ვაკანსიის შევსება.

„ვიტ ჯორჯიასა" და ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელობამ ფედერაციას თხოვნით მიმართა გიორგი ჭანკოტაძისთვის დისკვალიფიკაციის მოხსნის შესახებ. შეგახსენებთ, ჭანკოტაძეს „მერანთან" მატჩში მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის მეათე ჩემპიონატის ბოლომდე აეკრძალა თამაში, თუმცა შესაძლოა ფედერაციის ახალმა მესვეურებმა ლმობიერება გამოიჩინონ და ახალგაზრდული ნაკრების წევრს სასჯელი შეუმცირონ. იმ შემთხვევაში, თუ ჭანკოტაძე ფედერაციამ შეიწყალა და მეორე წრეში მინდორზე გასვლის ნება დართო, გიორგი უეჭველად „ვიტ ჯორჯიაში" ითამაშებს. თუმცა მისი გადაბირება ქუთაისის „ტორპედოსაც" სურს.

„ვიტ ჯორჯია" მეორე წრესაც დიდი მიზნებით ხვდება. როგორც ბატონმა გურამმა გვითხრა, წლეულს გუნდის მიზანი თასის აღება და ექვსეულში მოხვედრაა. ძლიერი და გამოცდილი ფეხბურთელების მოწვევის და უკეთეს შედეგზე ფიქრის საშუალებაც გვაქვს, მაგრამ გვსურს, ნიჭიერი ახალგაზრდები მოვიწვიოთ, გავზარდოთ და წარმატებებსაც მათი დახმარებით მივაღწიოთო, აღნიშნა პრეზიდენტმა საუბრის დასასრულს.

ასე რომ, ვიტელები მეორე წრეს გაძლიერებულნი და ამბიციამოზღვავებულნი შეხვდებიან.

**ვანო ოქრობირიძე**

ვინ მოთვლის, რამდენჯერ დაწერილა და თქმულა. რამდენჯერ გამოგვიხატავს ჩვენი პოზიცია პირდაპირ და ირიბად. რამდენჯერ აგვიმაღლებია ხმა... მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ჩვენი ხმა რჩებოდა ხმად მღაღადებლისად. ამაზე სხვებსაც არაერთხელ უთქვამთ, მაგრამ არაფერი გვეშველა. ორი-სამი კაცი წყვეტდა ფეხბურთელთა ბედს.

გულშემატკივრებმა, სპეციალისტებმა, არ დავმალავთ და ჩვენც, ჟურნალისტებმა, ბოლო 6-7 წლის განმავლობაში ისეთ კლუბთა სახელებიც კი გავიგეთ, იქამდე რომ არასდროს გვსმენოდა. ერთი აფრიკაში აღარ წასულა ქართველი ჭაბუკი თუ ვეტერანი სათამაშოდ, თორემ სხვაგან ყველგან — აბა, ისლანდიია და ჩინეთიო... ჩამოთვლას რაღა აზრი აქვს?

იქამდეც კი დავეცით, სულ თითისტოლა ბავშვებიც კი გავასხვისეთ.

# ჩვენს ფეხბურთს მესაზღვრეები სჭირდება

საქართველოს საფეხბურთო მეურნეობა ქარვასლას დაემსგავსა, ოღონდ აქედან მხოლოდ ყიდიდნენ, ყიდვისა რა მოგახსენოთ. მიდიოდნენ და მიდიოდნენ, მოლდოვასაც კი უწიეს ქართველებმა, იქაურ „შერიფში" საბურთაოდ. დიახ, საბურთაოდ და არა სათამაშოდ. ვინც კი ფეხი გაიქნია და გოლი გაიტანა, ყველას უცხოეთში თამაში მოუნდა.

მერე კი გვიკვირს, ქართული ფეხბურთის დონე დღითიდღე რად ვარდებაო, რად გარდაიცვალა ეროვნული ფეხბურთიო. გარდაიცვლება, აბა, რა იქნება, 17-18 წლისანი სადღაც, ქვეყნის დასალიერში რომ წავლენ? ყველაფერი ლოგიკურია. დონე დაეცა.

ერთი ხანი პოლონეთი საფეხბურთო ბაზარი იყო ქართველთათვის, მერე ისრაელი, ლატვია, გერმანიის სამოყვარულო ლიგები, აღარას ვამბობთ რუსეთის მეორე-მესამე ლიგებზე.

თითებზე ჩამოსათვლელ ქვეყანათა რიცხვში არ მოხდება, საქართველო არ ერიოს. დიახ, რამდენიმე თუ იქნება ჩვენებრ გაჭირვებაში. ვის ჰყავს იმდენი ლეგიონერი, რამდენიც საქართველოს?

ერთი სიტყვით, ჩვენს ქვეყანაში ფეხბურთელთა წასვლის ტოტალური პროცესი მიმდინარეობს. რა ვიღონოთ? რა ვქნათ? ვფიქრობთ, გამოსავალი ერთია. ეს გამოსავალი ფედერაციის ხელთაა. მან უნდა უშველოს ქართულ ფეხბურთს. ფედერაციაში ახალი ხალხის მისვლის შემდეგ კი, როგორც ჩანს, ყინული გალღვა.

ქართული ფეხბურთის საჭეთმპყრობელებმა ყოველივე ზემოთქმული კარგად უწყიან. ჰოდა, გუშინ მერაბ ჟორდანიამ და კომპანიამ გადაწყვეტილება მიიღეს. გადაწყვეტილება, რომელშიც გამოსავალი ჩანს.

გოგა ხაინდრავას, ალბათ, ყველა კარგად იცნობთ. ამიერიდან ის უთავკაცებს კომისიას, რომელიც სატრანსფერო კომიტეტის თავმჯდომარეს ლევან გორხელაშვილსა და ამავე კომიტეტის მთავარ ინსპექტორს ნატალი ჟორდანიას დაეხმარება უთავბოლო ტრანსფერების საქმის მოგვარებაში.

ისე, ყველაფერს ის სჯობს, ქვემოთ მოყვანილი ტექსტი წაიკითხოთ და დასკვნები თავადვე გააკეთოთ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ „სარბიელს" აი, ეს მოსწერა:

*„ქართულ ფეხბურთს ყველაზე მეტი საფრთხე დღეს ახალგაზრდა, ნიჭიერი კადრების გადინების გამო ექმნება. ეს ჩვენსავით ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ქვეყნების ფეხბურთის ყველაზე დიდი პრობლემაა და საჭიროა, ტოტალური მიგრაცია როგორმე შევაჩეროთ, ყოველ შემთხვევაში შევზღუდოთ, [illegible] ჩვენი ნიჭიერი ბიჭები მზად [illegible] მეათეხარისხოვანი საფეხბურთო ქვეყნების მეათეხარისხოვან კლუბებში განაგრძონ საფეხბურთო კარიერა, ოღონდაც აქაურობას მოსცილდნენ. ამ აქტუალურ საკითხს სავსებით სწორად ეხმიანება ქართული სპორტული მედია (მ. კვანტალიანი, ქ. გოგიშვილი — სარბიელი, ნ. მჟავანაძე — 11X11). აღნიშნულ თემას შეეხო მერანი-91-ის პრეზიდენტი ბატონი ნუგზარ ნავაძეც, რომლის კლუბიც მეტად დაზარალდა ვაი-ტრანსფერების გამო. სფფ-მ იმსჯელა ამ პრობლემის შესახებ და გადაწყდა, შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც სფფ-ში არსებულ სატრანსფერო კომიტეტს მხარში ამოუდგება. კომისიის შექმნა და საქმიანობა ფეხბურთის სტრუქტურული რეორგანიზაციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. კომისია შეისწავლის ყველა სატრანსფერო საკითხს და შესაბამის ვერდიქტს გამოიტანს. მისი ვიზის გარეშე ვერც ერთი ფეხბურთელი ვერ დატოვებს საქართველოს. კომისიის მთავარი დანიშნულება იქნება ქართველი ფეხბურთელი კაბალური კონტრაქტისგან იხსნას და ქართულ ფეხბურთში სატრანსფერო კულტურა დაამკვიდროს.*

*კომისიის შემადგენლობა 7 კაცით განისაზღვრება და მას ბატონი გოგა ხაინდრავა უხელმძღვანელებს."*

ამ კაცის პროფესიონალიზმში, ვფიქრობთ, ეჭვი არავის ეპარება. გოგა ხაინდრავას პრინციპულობა და საქმისადმი დამოკიდებულება მუდამ მისაბაძი იყო. ჩვენც ამისი გვჯეროდეს, ეგებ ჟორდანიასთან, გორხელაშვილთან და სხვა თანამოაზრეებთან ერთად, მამლუქობა ოდნავ მაინც შეამციროს.

**კობა ინასარიძე**



ქართველ ბავშვებს საქართველომ უნდა მიხედოს

# პრეზიდენტის სტუმრობაო...

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია თავისი ამასწინდელი მოსაზრების ხორცშესხმისთვის ნიადაგის შემზადებას იწყებს. ჯერ კიდევ შარშან ფედერაციის პრეზიდენტმა ბევრისთვის მართლაც შოკისმომგვრელი განცხადება გააკეთა. ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე კლუბებმა ანგარიშზე 200 000 დოლარი უნდა იქონიონო, ბრძანა. როგორც ჩანს, ამ მოსაზრებასთან ჩვენს ჩემპიონატში მონაწილე კლუბების მესვეურთა შეგუების პროცესს თავად პრეზიდენტი დააჩქარებს.

ჟორდანიამ მართლაც დიდი პატივი დასდო თითოეული კლუბის მესვეურთ და მათ გუნდებში არსებული პრობლემების გადასაჭრელად თავად ესტუმრება. დღეს იგი „მერანის" პრეზიდენტ ნუგზარ ნავაძეს შეხვდება, მომდევნო დღეებში კი დანარჩენი კლუბების თავკაცებსაც გაესაუბრება.

200 000 დოლარი იქით იყოს და ბევრ გუნდში რომ მართლაც კატასტროფული მდგომარეობაა, ყველასთვის ცნობილია. ვინ იცის, იქნებ პრეზიდენტის სტუმრობა გუნდებს სასიკეთოდაც წაადგეს, ჩემპიონატის განახლებამდე ხომ არც ისე დიდი დრო დარჩა და განწყობილების გამოკეთება (ამაღლებაზე საუბარიც ზედმეტია) ბევრსაც არ აწყენდა.

**პაატა კვანტალიანი**

# ისინი

ნელ-ნელა მთავრდება ფეხბურთის ფედერაციის დაკომპლექტება. როგორც ადრე გაუწყეთ, ფედერაციაში 14 კომიტეტი შეიქმნა, რომლებიც ქართული ფეხბურთის სასიკეთოდ ილვაწებენ. თოთხმეტიდან მხოლოდ სამი კომიტეტის თავმჯდომარეა უცნობი, თუმცა კანდიდატები კი არიან, მაგრამ მათი გამხელისაგან ჯერჯერობით თავს იკავებენ.

მაშ ასე: სამსაო-საინსპექტორო კომიტეტი, წარსულში ცნობილ მსაჯს ანატოლი მილჩენკოს ჩააბარეს. ბავშვებსა და ჭაბუკებს ლევან ყიფიანი უხელმძღვანელებს, კადრებს — ევგენი მეტრეველი. ნაკრებ გუნდებს ალექსანდრე ჩივაძე უკურატორებს. დისციპლინას ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორი ომარ გოგიაშვილი მიხედავს. აპელაციებს თემურ ნამიჭეიშვილის უფროსობით განიხილავენ. საერთაშორისო ურთიერთობებს უწინდებურად დავით პეტრიაშვილი წარმართავს. სტატუსის მინიჭებასა და უამრავი ტრანსფერის ოდნავ მაინც შემცირებას ლევან გორხელაშვილი ეცდება. საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობას ბადრი ქთარქაშაძე შეასრულებს. ფედერაციის ფინანსურ დირექტორად კი ახალგაზრდა კაცი, გერა ხეცურიანი დაინიშნა.

პრეზიდენტი კარგად გეცოდინებათ, გენერალური მდივნის სახელიც. რაღა დარჩა? ერთი ეკონომიკური კომიტეტი, ვეტერანთა და იურიდიული საქმეების უფროსები. ყველაფერი უახლოეს აღმასკომის სხდომაზე დამტკიცდება, რომელიც თებერვლის პირველ რიცხვებში გაიმართება.

**კობა ინასარიძე**

# პირველი ჯგუფი. პირველი წრე:

## ჭირთა მთმენი, ვით ჯორ-ცხენი

ქართულ ფეხბურთში, უფრო სწორად ეროვნულ ჩემპიონატში, რამდენიმე კომეტამ გაიელვა. ერთი უდავოდ „ალაზანი" იყო: მოვიდა, ნახა, გაიმარჯვა და დაიკარგა. მასვე მიემსგავსა მეორე ჯგუფში დაქვეითებული „მარგვეთი", რომლის ანთებასა და ჩაქრობას „ალაზანზე" მეტი ხანი დასჭირდა.

„მერანი" კი ისე მოულოდნელად შემოჭენდა პირველქართულ სარბიელზე, ისე მოიარა ცხრა მთა და ცხრა ზღვა, როგორც არავინ. ცხადია, თუ პირველი ჩემპიონატის დომინანტებს არ ჩავთვლით. მაშინ კი ყველა დებიუტანტი იყო.

არა, თუ გახსოვთ, „მერანს" სანუკვარი მიზნისთვის არ მიუღწევია. ბრინჯაოს მედლები და შესაძლოა, ვერცხლისაც ზღვისპირელებთან ბრძოლაში დაკარგა. „ბათუმისა" თუ „კოლხეთის" გამოცდილებამ თავისი გაიტანა, „მერანის" გამოუცდელობამ — თავისი. თუმცა ავჭალელებმა პროგრამა-მინიმუმი მაინც აისრულეს — ერთ-ერთი ევროტურნირის, ინტერტოტოს გათამაშების საგზური სადებიუტო წელსვე დაისაკუთრეს.

არც ევროპაში ყოფილა „მერანი" მაჩანჩალა: ინტერტოტოს ერთ-ერთ შესარჩევ ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა მოსკოვის „ტორპედოს" შემდეგ. ეს მალტურ „ფლორიანასთან" შინ და ავსტრიულ „რიდთან" სტუმრად მოგებით შეძლო.

ახლა კი „მერანი" სხვა გუნდია. პრიზიორობას ვინ ჩივის, პირველი წრის შემდეგ გუნდს გავარდნა საკმაოდ სერიოზულად ემუქრება. სახიფათო ზონასთან „მერანს" მხოლოდ სამი ქულა აშორებს. და საერთოდაც, აგერ წელიწად-ნახევარია, „მერანის" სიმკვირცხლე სადღაც გამქრალა და თავის ტანმორჩილი ნათესავის სიჯიუტით ტკეპნის ცხრილის შუაწელს.

სხვაგვარად ვერც იქნებოდა. მეთოთხმეტე ტურში „სინათლის" სტადიონზე ლანჩხუთის „გურია" რომ წვეოდა, „მერანი" ეგებ პირველი წრის ორგზის რეკორდსმენიც გამხდარიყო. არ ვამბობ, „მერანი" ვერც „გურიას" მოუგებდა-მეთქი, ისევე, როგორც ეს ზედიზედ შვიდ მეტოქესთან ვერ შეძლო, მაგრამ გამორიცხული არც ეს იყო. ასეთ შემთხვევაში „მერანი" „ლოკომოტივს" შეეცილებოდა ფრეების რეკორდსმენობას, გატანილთა სიმცირეში კი ახლოსაც არავის გაიკარებდა.

3 მოგება, 8 ფრე და 4 წაგება, ბურთების შეფარდება — 13:16, ასე დაასრულა პირველი წრე „მერანმა".

მაგრამ ზამთრის შესვენებამდე ტურით ადრე, ორ-ორი მოგება მხოლოდ „გორდას" და „მერანს" ჰქონდათ. ორივემ „გურიასთან" გაასამა. „გორდამ" ბოლო ტურში ლანჩხუთში, „მერანს" კი ბოლოსწინა ტურის გასრულებიდან რამდენიმე დღეში ჩაუთვალეს 3:0 მოგება „გურიას" გამოუცხადებლობის გამო. აქამდე ავჭალელებივით ცოტა, 7 გოლიც არავის გაეტანა, თუმცა ასე ცოტა 13-იც ბევრს როდი გაეშვა. ამდენჯერვე აელოთ „ბათუმის" კარი, 7-ჯერ „დინამოსი" და მხოლოდ 5-ჯერ „ლოკომოტივისა".

ერთი სიტყვით, „მერანმა" მხოლოდ ათჯერ გაიტანა. ცხრილში გატანილთა გრაფაში ჩაწერილი სამით მეტი „გურიას" გამოუცხადებლობის წყალობაა. სამაგიეროდ, გაშვებაშიც (თუ არგაშვებაში) „მერანი" ოთხ გუნდს ჩამორჩა ზემოხსენებულებს და „ტორპედოს". ასეთი შედეგი და საშუალედო მეცხრე ადგილი გასაკვირიც არ იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ ავჭალელებმა 6-ჯერ 0:0 ითამაშეს და კიდევ სამ მატჩში მეტოქის კარის ბადე ვერ შეარხიეს.

მერანელთა საპირველწრეო ეპოპეაში იყო კლუბისთვის აქამდე არნახული წარუმატებელი სერია — მეშვიდე ტურიდან მეცამეტეს ჩათვლით ავჭალელებს ვერ მოეგოთ და თან ერთხელაც ვერ გაეტანათ. ეს სერია სწორედ „გურიას" თბილისში ჩამოუსვლელობამ გაწყვიტა, მერე კი გორში კოშმარული 3:3 იყო, რომელიც, მადლობა ღმერთს, უმსხვერპლოდ დამთავრდა...

— უწესიერესი კაცია, მშრომელი, მცოდნე, ფეხბურთსაც გამართულს გვათამაშებს, მაგრამ ვერ ვიგებთ, გოლი ვერ გაგვაქვს და რას მოვიგებთო — ეს სიტყვები ერთ-ერთმა სტაჟიანმა მერანელმა თქვა.

ავჭალელთა ძველ ახალ თავკაც სერგო გაბელაიას მართლა არ უმართლებდა. სამი თავდამსხმელიდან ზოგი ტრავმამ მოაცდინა, ზოგი ვერაფრით გაიხსნა. ერთი სიტყვით, სამივემ ერთად მხოლოდ 5-ჯერ გაიტანა. წარმოგიდგენიათ? ერთი მიხეილ ხუციშვილმა, 4 სწორედ ტრავმაგამოვლილმა სულიკო დავითაშვილმა და არც ერთი (!) ქართული ფეხბურთის ოდინდელმა იმედმა, მიხეილ მესხმა.

თავდამსხმელთა ცოდვა სანახევროდ ნახევარმცველთა კისერზეცაა. მათგან ყველას კიდევ გუნდს გვიან დამატებული გელა ქორიძე სჯობდა, რომელმაც პასებიც არიგა და სამჯერაც გაიტანა. შერმადინ დანელიამ, გიორგი კვეტენაძემ და მირიან გეწაძემ კი თავი ბრძოლისმოყვარეობის გარდა ბევრი ვერაფრით დაგვამახსოვრეს.

სამაგიეროდ, „მერანს" წლეულს დაცვა უვარგოდა — „მერანის" დაცვისა და მთლიანად გუნდის ლიდერი გიორგი დავითნიძე მხოლოდ ეროვნულ ჩემპიონატში კი არა, ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშითაც გამოირჩა და აგერ, იაროსლავის „შინიკშიც" გადავიდა.

მეკარეებმა თანაბრად 8-8 გოლი გაუშვეს, თუმცა დავით ლომაიამ მაინც უფრო დამაჯერებლად ითამაშა და ის სულაც ეროვნულ ნაკრებში გამოსცადა ვლადიმერ გუცაევმა ესტონელებთან მატჩში.

ერთი სიტყვით, „მერანმა" ამ გაზაფხულზე გატანას თუ არ უხშირა, ასეთი მცველ-მეკარეების გარჯით ეგებ არც გავარდეს, თუმცა საქმეს კი გაირთულებს.

თანაც გიორგი დავითნიძის წასვლით „მერანი" მნიშვნელოვნად დასუსტდება, თუ მისი შემცვლელი არ მოიძებნა.

ისე, დასანანი კი იქნება, ასეთი გუნდი, მშვენიერი საკუთარი სტადიონითა და ქომაგებით, ცხრილის ქვესკნელში გადაიჩეხოს.

**ვახტანგ ბზიკაძე**



მერანელი მირიან გეწაძე — მარტო კაცი ბრძოლაშიაც ბრალია

### მერანის შედეგები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | სამგურალი | 0:0 | შინ |
| 2 | დინამო | 1:5 | სტუმრად |
| 3 | არსენალი | 0:0 | შინ |
| 4 | გორდა | 1:1 | შინ |
| 5 | სიონი | 4:1 | სტუმრად |
| 6 | თსუ | 1:0 | შინ |
| 7 | კოლხეთი | 0:3 | სტუმრად |
| 8 | ოდიში | 0:1 | შინ |
| 9 | ბათუმი | 0:0 | სტუმრად |
| 10 | ვიტ ჯორჯია | 0:0 | შინ |
| 11 | იბერია | 0:0 | სტუმრად |
| 12 | ლოკომოტივი | 0:0 | შინ |
| 13 | ტორპედო | 0:2 | სტუმრად |
| 14 | გურია | 3:0 | შინ |
| 15 | დილა | 3:3 | სტუმრად |

| | თ | გ | ყ | წ |
|---|---|---|---|---|
| შერმადინ დანელია | 14 | 0 | 3 | 0 |
| მიხეილ ხუციშვილი | 14 | 1 | 0 | 0 |
| ლევან ბაჯელიძე | 13 | 0 | 2 | 0 |
| გიორგი დავითნიძე | 13 | 1 | 5 | 0 |
| მიხეილ მესხი | 13 | 0 | 1 | 0 |
| გურამ ქანთელაშვილი | 12 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი კვეტენაძე | 12 | 0 | 2 | 0 |
| სოსო დევიძე | 11 | 1 | 0 | 0 |
| გელა ქორიძე | 11 | 3 | 0 | 1 |
| დავით ვაშაკიძე | 11 | 0 | 1 | 0 |
| სულიკო დავითაშვილი | 10 | 4 | 0 | 0 |
| ზაზა ცქიფურიშვილი | 10 | 0 | 3 | 0 |
| მირიან გეწაძე | 9 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი ლომაია | 8 | -8 | 0 | 0 |
| შალვა ივანიშვილი | 7 | 0 | 1 | 0 |
| რევაზ ნაჭყებია | 6 | -8 | 0 | 0 |
| გურამ ხარებავა | 5 | 0 | 0 | 0 |
| ედიშერ ალადაშვილი | 4 | 0 | 0 | 0 |
| მალხაზ ჭინჭარაული | 3 | 0 | 0 | 0 |

თ-თამაში; გ-გოლი; ყ-ყვითელი, წ-წითელი ბარათი




### საქართველოს ჩემპიონატი. 15 ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 15 | 12 | 3 | 0 | 50:8 | 39 |
| ტორპედო | 15 | 11 | 2 | 2 | 42:14 | 35 |
| კოლხეთი | 15 | 8 | 3 | 4 | 34:25 | 27 |
| ლოკომოტივი | 15 | 6 | 9 | 0 | 18:6 | 27 |
| ბათუმი | 15 | 6 | 6 | 3 | 23:14 | 24 |
| დილა | 15 | 6 | 4 | 5 | 21:21 | 22 |
| იბერია | 15 | 5 | 3 | 7 | 26:31 | 18 |
| არსენალი | 15 | 4 | 6 | 5 | 19:25 | 18 |
| მერანი | 15 | 3 | 8 | 4 | 13:16 | 17 |
| ოდიში | 15 | 5 | 1 | 9 | 12:25 | 16 |
| გორდა | 15 | 3 | 7 | 5 | 12:18 | 16 |
| სიონი | 15 | 4 | 3 | 8 | 15:32 | 15 |
| ვიტ ჯორჯია | 15 | 5 | 2 | 8 | 15:17 | 14 |
| სამგურალი | 15 | 4 | 2 | 9 | 13:31 | 14 |
| თსუ | 15 | 3 | 4 | 8 | 14:22 | 13 |
| გურია | 15 | 3 | 1 | 11 | 17:39 | 10 |

„ვიტ ჯორჯიას" დაკლებული აქვს 3 ქულა

### ქაიფია ამად ნაღები

*თსუ.* თვითონ ნუნუას მიუჯდა.
*მერანი.* მაგას ვისზე ამბობ?
*თსუ.* არავისზე, „ვეფხისტყაოსანს" ვიზეპირებ. გაზაფხულისთვის გადატანილი გამოცდა მაქვს ჩასაბარებელი.
*მერანი.* ფრთხილად იყავი, შე დათარსულო სტუდენტო, მაგ ცამეტ ქულას თუ არ გასცდი, საშემოდგომოც არ გამოგაყოლონ.
*თსუ.* მე არაფერი მიჭირს, არდადეგებზე სწავლას არ დავიზარებ, შენ იკითხე, გოლის გატანა რომ ვერ გისწავლია.
*მერანი.* სამაგიეროდ, სირბილი და თავდაცვა მეხერხება.
*გურია.* თავდაცვა „არსენალის" საქმეა. მაგრამ მაგას თავდასხმა უკეთ შეიძლია, ვიდრე დაცვა.
*არსენალი.* გასაყრისი! ჩემს ძმას მხედრული სალამი! ვერ გაგიტანე, მაგრამ თვითონაც რომ არ გაგახარე?
*მერანი.* რა ვქნა, გაძვირდა ცხოვრება. ლარი რომ გაუფასურდა, ყველაფერს ფასი მოემატა მგზავრობის გარდა.
*თსუ.* რა გემართება, თანდათან მიცკევიჩისას უფრო ემსგავსები, ვიდრე ტატოს მერანს.
*მერანი.* მოეშვი მაგ ლიტერატურულ წიაღსვლებს...
*ვიტ ჯორჯია.* ისე, მართლა ძალიან მარცხიანი ვინმე ხარ. აქამდე შენ გაკლებდნენ ქულებს და ახლა მე გადმომილოცე?
*მერანი.* ეჰ, ის შვიდი ქულა რომ არ წაერთმიათ, შეიძლება შარშანაც ინტერტოტოზე მეთამაშა.
*ბათუმი.* რისთვის უნდა გეთამაშა, ყველანი „ტორპედოზე" მეტად რომ შეგერცხვინეთ?
*მერანი.* შერცხვენილისგან რა მესმის. როცა ევროპაში ვითამაშე, „კოლხეთს" ხომ მაინც ვაჯობე.
*კოლხეთი.* ჩემს ძვირს როგორ ამბობ. შენ რომ მიდიოდი, მე მოვდიოდი.
*მერანი.* 0:7 მაინც არ წამიგია...
*კოლხეთი.* მე თუ ვაგებ, შენ რას გიშლი, ძმობილო?
*მერანი.* რა გემღერება? სახლი თავზე გექცევა და ოჯახის ახალი უფროსისთვის ოთახი ვერ გიპოვნია?
*სიონი.* ეგ რაში სჭირდება?
*მერანი.* აბა, ძველი ვერ გაასახლა და...
*კოლხეთი.* შენსავით მაინც არ მჭირს, ნაოფლარ ქულებს ქარს რომ ატან.
*მერანი.* რა ვქნა, ვისი თავკაცობისასაც ქულებს მაკლებდნენ, ის დავითხოვე და, ჯვარი მწერია, მგონი, მეშველა.
*გურია.* იქნებ ახალმა ფედერაციამაც მოწყალე თვალით გადმოგხედოს...
*მერანი.* შენ რა სულ წყალობა გახსოვს, მაგის იმედად თუ დარჩი...
*გურია.* მაინც რატომ გადმომილოცე ის შენი მხედარი?
*მერანი.* ძალიან მძიმე იყო და ვერ ვატარე.
*თსუ.* ამბობენ, მერანი რომ ევროპაში გაჭენდა, ის მოლანდება იყო, ახლა კი როსინანტს დამსგავსებია და მისი მხედარიც ქარის წისქვილებთან მებრძოლ დონ კიხოტსო.
*მერანი.* ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის...

# თბილისის «მერანი». IX ადგილი



სერგო გაბელაიას საფიქრალი მოსძალებია

## სერგო გაბელაია:

# თუ არ გაიტან, ვერ მოიგებ!

*„მერანისა“ და მისი მწვრთნელის ჯერიც დადგა, გუნდის და სერგო გაბელაიასი, რომლებიც უკვე მეოთხე წელია, ერთად არიან.*

*სწორედ მაშინ, როცა „მერანი“ პირველ ჯგუფში აღზევდა, მწვრთნელი გაბელაია იყო, მაგრამ მომავალ წელსვე მისი ადგილი იქამდე კონსულტანტმა თემურ მახარაძემ დაიკავა. გაბელაია თანაშემწე გახლდათ. მერე მახარაძეც წავიდა. თუმც რომ გვეგონა, „მერანის“ მესაჭე მეორე მწვრთნელი გახდებოდა, კლუბის დამფუძნებლებმა სხვა გადაწყვეტილება მიიღეს — მოჯირითედ ჯონი ჯანელიძე დანიშნეს. მისი ფუნქცია ისევ მწვრთნელის დახმარება გახლდათ. მიილია გასული სეზონიც და, როგორც იქნა, ორი წლის თანაშემწის დროც დადგა. ნუგზარ ნავაძემ თქვა — ამიერიდან სერგო გაბელაიას დაემორჩილეთო და შეუდგა იგი საქმეს.*

*ძნელ დროს კი მოუწია უფროსობა. „მერანი“ ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა, ზოგმა სად უწია, ზოგმა — სად. გაბელაიას ფაქტობრივად ახალი გუნდის შექმნა დასჭირდა. გაიარ-გამოიარა, სასურველი ფეხბურთელები შეიგულა და რგოლების დაკომპლექტებასაც შეუდგა, მაგრამ ერთი ველარ გაითვალისწინა, უფრო სწორად საამისოდ ობიექტური მიზეზები ჰქონდა — ისეთი თავდამსხმელები ვერ შეკრიბა, როგორიც გუნდსა და მას სურდა.*

*„მერანის“ 13 გატანილი ბურთიც ამაზე მეტყველებს. ისე კი ჯობს, პირველი წრის ამბებზე თავად სერგო გაბელაიას მოვუსმინოთ.*

— არ ვიცი, სხვა როგორ ფიქრობს, მაგრამ მე მითქვამს და ახლაც გავიმეორებ — „მერანის“ მეცხრე ადგილი ის არაა, რასაც ვიმსახურებდით — გვითხრა მწვრთნელმა — გაცილებით მეტი შეგვეძლო. რამდენჯერმე ისეთი მატჩი წავაგეთ და დასანანი ქულები დავკარგეთ, უეჭველი რომ უნდა მოგვეგო. გადაუჭარბებლად ვამბობ — პირველი წრის შემდეგ „მერანი“ ხუთეულში უნდა მოხვედრილიყო.

**— ფაქტი ისაა, რომ ამჟამად მეცხრეები ხართ. მიზეზი? რამ შეგიშალათ ხელი?**

— თავდასხმამ. სეზონის წინ გელა გაბისონია „კოლხეთში“ წავიდა, დავით გოდერძიშვილი „ლოკომოტივში“, სულიკო დავითაშვილმა გასასინჯად უცხოეთს მიაშურა, იქიდან დაბრუნებული კი დაშავდა და საკმაო ხანს დაისვენა. დავრჩით ორი ფორვარდის ამარა, ფაქტობრივად მთელი 15 მატჩის სიმძიმე ხუციშვილისა და მესხის ზურგზე გადაიარა. ბოლოსკენ მათ დაღლა დაეტყოთ. საკმაოზე მეტი რეალური საგოლე მომენტებიც ამის გამო გააცუდეს, რაც მატჩების საბოლოო შედეგებზეც აისახა. იყო შემთხვევები, როცა ჩვენ უნდა გაგვეტანა, პირიქით კი მოხდა. ის ბურთი მეტოქემ წამოიღო და გაგვიტანა კიდეც. თუ გოლი ვერ გაიტანე, რომელ მოგებაზეა ლაპარაკი. ფეხბურთში ხომ მთავარი გოლია. ის, რაც ჩვენ გვიჭირდა.

**— სამაგიეროდ დაცვაში კარგად გქონდათ საქმე. თუმცა 16 გაშვებული გოლი ბევრია.**

— ენა არ მომიბრუნდება მცველებისა და ნახევარმცველების სასაყვედუროდ. ისინი მართლაც კარგად თამაშობდნენ. ჩავარდნა კი ყველა გუნდის ყველა რგოლს აქვს ხოლმე. ორივე ხაზი სტაბილური იყო, თავიანთ საქმეს აკეთებდნენ, ხანდახან თავდამსხმელთა გასაკეთებელსაც.

**— მეკარეებზე რას იტყვით?**

— ყველაზე ძლიერ მათ ვემადლიერები. ჩათვალეთ, რომ მეკარის პრობლემა „მერანს“ არ აწუხებს. თავიდანვე შეთანხმებულები ვიყავით. ლომაიაც და ნაჭყეპიაც მორიგეობით, ორ-ორჯერ ითამაშებდნენ ძირითადში. იქამდე, სანამ რომელიმე თამაშს არ გააფუჭებდა.

**— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, თავდასხმის გარდა არაფერი გაწუხებთ.**

— ნამდვილად ასეა. დანარჩენი რგოლები აწყობილია. დარწმუნებული ვარ, არც მეორე წრეში შეგვექმნება პრობლემა.

**— მესხის გუნდიდან წასვლის შემდეგ წინა ხაზი უფრო დაგსუსტებიათ და ეგაა.**

— სამაგიეროდ, რამდენიმე ფეხბურთელს დავადგით თვალი და ისინი ჩვენთან ერთად ვარჯიშობენ. „გორდადან“ ჯუბა ჩუხუა მოვიწვიეთ, „სამგურალიდან“ — თემურ უგულავა, „ოდიშიდან“ — ლევან თოლორდავა. მოკლედ, მოლონიერებას ვაპირებთ. თავდასხმაში ვინ გამოგვადგება და ვინ არა, ამას ამხანაგური მატჩებისას გავარკვევთ.

**— დავითნიძემაც რომ დაგტოვათ და ქორიძემაც?**

— შეუცვლელი არავინაა. მართალია, დავითნიძე და ლომაია ყველაზე მეტად გამოირჩეოდნენ, მაგრამ რაღაცას მოვახერხებთ. იმ სამი თავდამსხმელის გარდა, ზემოთ რომ ჩამოგითვალეთ, გუნდში მცველებიც ისინჯებიან და ნახევარმცველებიც საკმაოდ მრავლად არიან. მათგან ოთხ კაცს შევიყვანთ განაცხადში, რადგანაც სწორედ ამდენი ადგილი გვაქვს. არა, ხომ გითხარით, ერთი თავდასხმის პრობლემა მოგვაგვარებინა და აგერ ნახავთ, თუ მეორე წრეში უკეთ არ ავთამაშდებით.

**— მეტად რომელი თამაშები დაგამახსოვრდათ?**

— ოო, თსუ-სთან ვითამაშეთ მეტად ცუდად. პრაქტიკულად ეგ მატჩი იყო, მოგება რომ არ შეგვეძლო, მომენტი არ შეგვიქმნია. ძალიან გადაღლილები ჩანდნენ ფეხბურთელები. ამის გარდა კი ბათუმში სტუმრობა დამამახსოვრდა. უგოლო ფრედ კი მორჩა მატჩი, მაგრამ ჩვენი მოსაგები იყო. „ბათუმზე“ მეტჯერ „მერანს“ შეეძლო გოლის გატანა. ასევე იყო „ლოკომოტივთანაც“, „დინამოსა“ და თსუ-ს გარდა, აბსოლუტურად ყველა თამაში შეგვეძლო ჩვენს სასარგებლოდ დაგვემთავრებინა.

**— ნაკლზე თქვით, სუსტი თავდასხმაო. ღირსება რა არის?**

— უკლებლივ ყველა ფეხბურთელი შრომისუნარიანია. „მერანი“ გუნდურ ფეხბურთს თამაშობს. არავინ ერიდება შავ სამუშაოს, ბოლომდე იბრძვიან.

**— შინ რომ ქულები დაკარგეთ, ეს თქვენი მოედნის უვარგისი საფარის ბრალი ხომ არ იყო?**

— არა. სხვათა შორის, „სინათლეზე“ მინდორი ნორმალურ მდგომარეობაშია, დასაწუნი არაფერი აქვს. იქ მხოლოდ ვთამაშობთ. თუმცა ახლა, ზამთარში, საფარი ოდნავ გაფუჭდა. ქულების დაკარგვის მიზეზი კი ისევ და ისევ სუსტი თავდასხმაა.

**— ახლა მომავალზე ვთქვათ. სადმე შეკრების მოწყობას თუ აპირებთ?**

— ჯერჯერობით თბილისში ვვარჯიშობთ. სპორტის დეპარტამენტის დარბაზში ვემზადებით ფიზიკურად, კუს ტბაზე დავრბივართ. 25 იანვრამდე ასე გაგრძელდება, მერე კი ბურთსაც შევეჩვევით. შეკრებაზე ჯერ ადრეა ლაპარაკი. თუ მოხერხდა, უარს ნამდვილად არ ვიტყვით.

**— სეზონის წინ მუხრანში რომ ემზადებოდით, ახლა ფინანსურად ხომ არ გაგიჭირდათ?**

— მსგავსი არაფერი გვაწუხებს. ფეხბურთელებს ხელფას-პრემიები წუთითაც არ უგვიანდებათ, არც არაფერი აკლდებათ. სტაბილური მდგომარეობაა.

**— ერთსაც გკითხავთ. თავდასხმის ხაზი თუ გააძლიერეთ, „მერანს“ ხუთეულში ვიხილავთ? იქ რომ თქვენი ადგილი არაა, ისეც დიდი კონკურენციაა. სიმართლე გითხრათ, ამჟამინდელ ლიდერებს თამაშის ხარისხით ნამდვილად ჩამოუვარდებით...**

— გაგვიჭირდება. მეორე წრეში ხომ ყველა გაცილებით მობილიზებულია, პირველ წრეში კი ცოტა იოლი იყო. თუმცა, ნურც იმას დაივიწყებთ, რომ გაზაფხულზე ლიდერებს „სინათლეზე“ ვმასპინძლობთ. თბილისში თამაში ყოველთვის მომგებიანია, მოედანიც კარგია და მაყურებელიც თავშეკავებულია. ერთი სიტყვით, ვნახოთ. როგორც მოვემზადებით, შედეგიც შესაბამისი იქნება. ყოველ შემთხვევაში, ხუთეულისთვის რომ ვიბრძოლებთ, ეჭვი არ შეგეპაროთ.

**კობა ინასარიძე**

# ლომაია ფორტუნას უჩივის

**თბილისი „მერანი“ ის გუნდია, რომელსაც დანარჩენთაგან ერთი უცნაურობა გამოარჩევს. ტრანსპორტელებს ორი მეკარე ჰყავთ — გიორგი ლომაია და რევაზ ნაჭყეპია. ამათგან ვერც ერთზე იტყვი, ერთი ძირითადია და მეორე მისი შემცვლელიო. ორივე თანაბარუფლებიანია, კარში მორიგეობით, ყოველი ორი ტურის შემდეგ დგანან. „მერანში“ ასეთი სისტემა მეათე ეროვნულიდან დამკვიდრდა.**

**„მერანი“ ის გუნდიცაა, რომლის რიგებში გამორჩეული მოთამაშე არ არის. ყველანი ტოლძალოვანნი არიან. ჩვენი რჩეული გიორგი ლომაია გახდა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ლომა მერანელთაგან ყველაზე მეტჯერ მოხვდა ტურის სიმბოლურ ნაკრებში. ესეც არ იყოს, ის პირველი მერანელია, რომელმაც ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა. ეს ესტონეთთან შეხვედრაში, მეორე ტაიმში მოხდა...**

— ძალიან ვღელავდი. აქედან გამომდინარე, გაშვებული გოლიც ჩემს სინდისზე იყო. მართალია, იმ მომენტში ბურთის მომლოდინეს ფეხი დამისხლტა, მაგრამ ეს სულაც არ მამართლებს. ვალდებული ვიყავი, პოზიციაც უკეთესი შემერჩია და არცთუ ძლიერად დარტყმული ბურთი შემეჩერებინა.

**— ვღელავდიო თქვი. მსგავსი რამ ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე თუ მოგსვლია?**

— ალბათ არასდროს, ბავშვობაში თუ მქონია მსგავსი მომენტი...

**— პირველ წრეში შენი თამაშით კმაყოფილი ხარ?**

— ორმა მეკარემ, მე და რეზო ნაჭყეპიამ თანაბრად ვითამაშეთ, გოლებიც თანაბარი რაოდენობის გავუშვით. რვაჯერ მე გავხდი იძულებული, ბურთი კარიდან გამომეტანა და რვაჯერ რეზომ შეასრულა ეს არასასიამოვნო პროცედურა. გაშვებული გოლების რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, ურიგოდ არ გავრჯილვარ. შეიძლებოდა უკეთ მეთამაშა, მაგრამ ავადმყოფობამ სამი თვე იძულებით დამასვენა და ამანაც გარკვეული დაღი დაამჩნია ჩემს თამაშს.

**— შენს კოზირად რას მიიჩნევ?**

— ალნაგობაც ხელს მიწყობს და გამოსვლებზე თამაში უფრო მიადვილდება. ნაკლად ფიზიკურ მომზადებას დავასახელებ. ამ მხრივ მომძლავრება ერთიორად წამადგებოდა.

**— „მერანმა“ პირველ წრეში ვერ აჩვენა ისეთი შედეგი, რასაც ხელმძღვანელობა ელოდა. შენი აზრით, რა იყო არასტაბილურობის მიზეზი?**

— ამას არასტაბილურობასაც ვერ დაარქმევ. უფრო უიღბლობის ბრალი მგონია. მართალია, ამბობენ, ფორტუნა ძლიერებს ულიმისო, მაგრამ ჩვენ იმდენ საგოლე მომენტს ვატანდით ქარს, თავისუფლად ეყოფოდა ორ ჩემპიონატს. ვქმნიდით და ვერ გაგვქონდა. არა, ნამდვილად არ გვიმართლებდა.

**— გოლის ვერგატანა უფრო თავდამსხმელთა უკლასობის ბრალი ხომ არ არის?**

— მე რასაც ვფიქრობ, მოგახსენეთ, დანარჩენი სპეციალისტებისა და თქვენი შესაფასებელია.

**— ყველაზე მეტად რომელ გუნდებთან გაგიჭირდათ?**

— „დინამომ“ და „ტორპედომ“ არ დაგვიტოვეს შანსი. მართალია, „კოლხეთთანაც“ დიდი ანგარიშით წავაგეთ, მაგრამ იმ თამაშში წასაგები არაფერი გვჭირდა. პირველი ნახევარი თანაბარი იყო, მერე ავირიეთ.

იოლად „სიონი“ ვძლიეთ. „მერანთან“ მათი დაპირისპირება მუდამ უშელავათო ყოფილა, ამჯერად ბოლნისში ცოტა გავინავარდეთ.

**— „მერანში“ როდემდე აპირებ დარჩენას?**

— კონტრაქტით „დინამოს“ ვეკუთვნი. „მერანში“ ჩემპიონატის ბოლომდე გამანათხოვრეს. ივნისამდე აქ ვარ. მერე თუ „დინამო“ დამიბრუნებს და თამაშის შანსი მექნება, ხომ კარგი, არადა, არ დავიკარგები, ჩემს გზას ვიპოვი.

**— მეკარეებს ხშირად გარკვეული უცნაურობები გახასიათებთ. შენც არ იქნები გამონაკლისი.**

— გინდ დაიჯერეთ, გინდ არა. როცა სტადიონზე ჩემი 13 წლის ძმა, დათო მოდის მატჩის საყურებლად, მაშინ მუდამ აღმაფრენით ვთამაშობ. როცა ის არ არის, თავს შებოჭილად ვგრძნობ. კაცია და გუნებაო, ხომ გაგიგიათ.

**მამუკა ძვანტალიანი**



გიორგი ლომაიას თავგანწირული ნახტომი ჩვევაა

## იტალია

### თასის მეოთხედფინალის პირველი შეხვედრა გადადებული მატჩი

**იუვენტუსი (A) 1:2 ბოლონია (A)**

დეკემბერში გამართული შეხვედრები

**ატალანტა (B) 3:2 ფიორენტინა (A)**

**უდინეზე (A) 3:2 პარმა (A)**

**ლაციო (A) 2:1 ინტერი (A)**

„იუვენტუსმა“ ბოლო 10 შეხვედრაში მე-5 მატჩი წააგო! ამჯერად აშკარად გადაბერებული „ბებერი ქალბატონი“ შინ სათასო მატჩში „ბოლონიასთან“ დამარცხდა 1:2. ეს ის თამაშია, დეკემბრის დასაწყისში რომ უნდა გამართულიყო, მაგრამ ტერორისტ მუსტაფა ოჯალანის გამო ჩემპიონთა ლიგის მატჩი „გალათასარაი“ — „იუვენტუსი“ ერთი კვირით გადაიდო და შესაბამისად ტურინელებმა მხოლოდ 13 იანვარს მოიცალეს „ბოლონიისთვის“.

თუმცა ვინ ვისთვის მოიცალა, ეგ კიდევ საკითხავია. „დელე ალპიზე“ რობერტო ბაჯოს ყოფილი გუნდი („ბოლონია“) მის უფრო ძველ კლუბს („იუვენტუსი“) აშკარად სჯობდა.

მიუხედავად ამისა, ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს. მე-13 წუთზე ნიკოლა ამორუზოს აქტიურობის შედეგად მისი ახალგაზრდა თანაგუნდელი, ნახევარმცველი სიმონე პეროტა ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა და უძლიერესი დარტყმით მეტოქეს გუნება წაუხდინა. პირველ 45 წუთში სხვა საინტერესო არაფერი მომხდარა.

აი, მეორე ტაიმი კი მთლიანად „ბოლონიასი“ იყო. სტუმრები აშკარად სჯობდნენ სახელოვან მოწინაამდეგეს და 67-ე წუთზე წონასწორობაც აღადგინეს — საჯარიმოდან ჩაწოდებულ ბურთს მცველი ნიკოლა ბოზელი პირველი გამოეხმაურა და ლამაზი თავურით კარში გაგზავნა.

„ბოლონია“ დარჩენილ დროშიც უტევდა, მაგრამ მისი ერთ-ერთი ლიდერი, შვედი კენეტ ანდერსონი მატჩის დასრულებამდე სამი წუთით ადრე მსაჯმა მეორედ გააფრთხილა და მისი გუნდი რიცხვობრივ უმცირესობაში დატოვა. ამიტომაც სტუმრებმა ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყეს ფიქრი და ფრეც გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონი საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი დიდიე დეშამპი თურმე სხვაგვარად ფიქრობდა და დამატებითი დროის მე-4 წუთზე, როდესაც საჯარიმოში შეჭრილ ჯონათან ბინოტოსთან ბრძოლისას წესები დაარღვია და „ბოლონიას“ მშვენიერი საჩუქარი უძღვნა — თერთმეტმეტრიანი.

პენალტის შესრულებისას შვედ კლას ინგესონს წარბიც არ შეუხრია — 2:1. „ბოლონიამ“ „იუვენტუსის“ ნახევარფინალში გასვლა და „ფიორენტინა“ — „ატალანტას“ წყვილში გამარჯვებულთან შეხვედრა მეტად საეჭვო გახადა.

საპასუხო მატჩი 26 იანვარს გაიმართება.



REUTERS ტურინიდან

იუვენტუსი — ბოლონია 1:2. მასპინძლებს ვერც შეცვლაზე შესულმა ზინედინ ზიდანმა (მარჯვნივ) უშველა

## ბელგია

### XIX ტური

### სტანდარდი 2:2 ლიერსი

**სტანდარდი:** რუნიე, ბლეი, აფოლაბი, ჰელერსი, ბილიჩი (მბო მპენზა 70), გოდფრუა, დე კონდე (რემაკლი 56), ერნსტი, ფოლია, ლუკუნკუ, ემილ მპენზა

**ლიერსი:** მენცო, ბროკენი, ჰოფკენსი, ვან მეირი, დაემსი, ლარემანსი, ლეენი, ზდებელი, სომერსი (ჰუისტრა 15), ჰუისმანსი (ჰააგდორენი 68), კავენსი (სერნეელსი 73)

1:0 ლუკუნკუ (28), 1:1 კავენსი (32), 1:2 ვან მეირი (66პ), 2:2 აფოლაბი (77)

ბელგიის ჩემპიონატის მე-17 ტურში 6 დეკემბერს ორი ქართველი ლეგიონერის გუნდი — ლაშა ჯაკობიას „სტანდარდი“ და გელა შეყილაძის „ლიერსი“ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, მაგრამ ცუდი ბუნებრივი პირობების გამო მაშინ მატჩი გადაიდო. ეს გამოტოვებული შეხვედრა გუშინწინ ჩატარდა და მასში ჩვენებურებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

თავიდანვე ნათელი გახდა, რომ „ლიერსის“ ახალგაზრდული გუნდი მასპინძლებისთვის არაფრის დათმობას არ აპირებდა. მეტიც, მატჩის პირველი წუთები სტუმართა აშკარა უპირატესობით წარიმართა და სომერსს ანგარიშის გახსნის შესაძლებლობაც მიეცა, მაგრამ რუნიეს ბლეი მიეხმარა და ხიფათი თავიდან აიცილეს. „სტანდარდი“, რომელიც თავის ჩვეულ სტილში ანუ ერთი თავდამსხმელით (ემილ მპენზა) თამაშობდა, ნელნელა გონს მოვიდა და მწვავედაც შეუტია. ერთ-ერთი შეტევისას მპენზამ ფოლიას მშვენიერი პასი მისცა, მაგრამ ლიეჟელთა პორტუგალიელ ლეგიონერს გამოცდილმა მენცომ დაასწრო. რაც დრო გადიოდა, მპენზას მეურვე ჰოფკენსს სულ უფრო მეტად უჭირდა მასპინძელთა ერთადერთი თავდამსხმელის შეკავება. სწორედ მპენზამ გააკეთა 28-ე წუთზე საგოლე პასი ლუკუნკუს მისამართით, მას შემდეგ რაც ჰოფკენსი საუცხოოდ ჩამოიშორა— 1:0.

მაგრამ ლიეჟელთა სიხარული ხანმოკლე გამოდგა. რამდენიმე წუთში მათ მეკარე რუნიეს ბურთი გაუვარდა და კავენსმაც იმწამს [illegible] — 1:1. შესვენებამდე [illegible] შეეძლო „ლიერსის“ წინ გაყვანა, მაგრამ ამჯერად ხორვატი მეკარე მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და მეტად ძნელი ბურთი მოიგერია.

მეორე ტაიმში ვალტერ მეუვსის შეგირდები უკეთ გამოიყურებოდნენ და დაწინაურდნენ კიდეც: აფოლაბიმ საკუთარ საჯარიმოში ჰუისმანსი წააქცია და ვან მეირმაც პენალტი ზუსტად დაარტყა — 1:2. ათიოდე წუთში კი „სტანდარდის“ მცველმა თავისი შეცდომა გამოისყიდა და მასპინძლები წაგებას გადაარჩინა.

ხორვატი ტომისლავ ივიჩის გუნდი ყოველთვის გამოირჩეოდა ძლიერი დაცვით, მაგრამ ამ მატჩში „სტანდარდის“ უკანა ხაზი ისეთი უბადრუკი სანახავი იყო, რომ მათ მიერ აღებული ქულა უფრო ბედის წყალობაა, ვიდრე მათი გარჯის შედეგი.

დაბოლოს, მატჩის 82-ე წუთზე სტუმართა მცველი ჰოფკენსი მინდვრიდან გააძევეს, რაც საკმაო პრობლემებს შეუქმნის „ლიერსს“ მომდევნო ტურში. მათ დაცვას ხომ, ალბათ, ჩვენებური გელა შეყილაძეც ვერ მიეშველება ტრამვის გამო.

**დავით სიჭინავა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 19 | 12 | 4 | 3 | 34:18 | 40 |
| გენკი | 19 | 11 | 5 | 3 | 41:23 | 38 |
| ლოკერენი | 19 | 10 | 4 | 5 | 40:25 | 34 |
| მუსკრონი | 19 | 9 | 7 | 3 | 39:30 | 34 |
| სტანდარდი | 19 | 10 | 2 | 7 | 28:19 | 32 |
| გენტი | 19 | 8 | 7 | 4 | 32:34 | 31 |
| ანდერლეხტი | 18 | 8 | 5 | 5 | 33:26 | 29 |
| ეკერენი | 19 | 8 | 4 | 7 | 34:30 | 28 |
| სენტ ტრუიდენი | 18 | 7 | 6 | 5 | 24:21 | 27 |
| ვესტერლო | 19 | 8 | 3 | 8 | 39:33 | 27 |
| ლიერსი | 19 | 8 | 3 | 8 | 33:31 | 27 |
| აალსტი | 19 | 7 | 5 | 7 | 30:34 | 26 |
| ჰარელბეკი | 19 | 4 | 8 | 7 | 23:30 | 20 |
| შარლერუა | 18 | 3 | 8 | 7 | 24:26 | 17 |
| ბევერენი | 18 | 4 | 4 | 10 | 19:29 | 16 |
| ლომელი | 19 | 4 | 4 | 11 | 20:31 | 16 |
| ოსტენდე | 19 | 2 | 6 | 11 | 18:45 | 12 |
| კორტრაიკი | 19 | 1 | 5 | 13 | 24:50 | 8 |

## ესპანეთი

### თასის მესამე წრე. საპასუხო მატჩები

**ბადახოსი (II) 1:1 ვალიადოლიდი (I)**

ორი მატჩის ჯამში — 2:2 პენალტებში გაიმარჯვა ვალიადოლიდმა

**სევილია (II) 1:3 ვილიარეალი (I)**

ორი მატჩის ჯამში ვილიარეალმა 5:3 მოიგო

**ბენიდორმი (III) 0:0 ტენერიფე (I)**

ჯამში 2:2 სტუმრად გატანილი გოლების წყალობით შემდგომ ეტაპზე ბენიდორმი გავიდა

**სპორტინგი (II) 0:1 დეპორტივო (I) (1:2)**

**ოსასუნა (II) 1:0 რასინგი (I) (1:2)**

**ლევანტე (III) 0:0 ლას პალმასი (II) (1:0)**

სათასო მატჩებში ყველაფერი ხდება. მაგალითად ის, რომ მე-3 დივიზიონის გუნდი ბობოლას უგებს, ანაც მატჩისშემდგომ პენალტებში გამარჯვებულის ვინაობის გარკვევას 23-ე თერთმეტმეტრიანი წყვეტს. თუმც ჯობს, ყველაფერზე დაწვრილებით ვისაუბროთ.

ალბათ, არავის ეგონა, რომ მე-3 დივიზიონის „ბენიდორმი“ მასთან შედარებით მრისხანე „ტენერიფეს“ ჯერ სტუმრად გაუტანდა ორჯერ და ფრეს გამოჰკრავდა ხელს, მერე კი კანარის კუნძულებზე ჩავიდოდა, არც გაიტანდა, არც გაუშვებდა და შემდეგ ეტაპზეც ამაყად გააღწევდა. არ ეგონა, მაგრამ ასე მოხდა. ამ ეტაპის მთავარი სენსაციაც ეს გახლდათ.

მთავარი ამბები კი ბადახოსში დატრიალდა და ეს რომ სპექტაკლი ყოფილიყო, აუცილებლად დრამა ანაც ტრაგედია ერქმეოდა.

ამბობდა შარშან დიდი დიეგო მარადონა, ფეხბურთის თამაში მომენატრა, „ბადახოსში“ მეპატიჟებიან და იქნებ წავიდე კიდეცო.

არ წავიდა.

ჰოდა, „ბადახოსიც“ ძველ, არაფრისმთქმელ „ბადახოსად“ დარჩა. მიუხედავად ამისა, პრიმერა დივიზიონის ბინადარი „ვალიადოლიდი“ მაინც მაგრად აწვალა.

განმეორებითი მატჩი, ისევე როგორც პირველი, ფრედ — 1:1 დასრულდა. დამატებითმა დრომაც უგოლოდ ჩაიარა და დრამაც დაიწყო — თერთმეტმეტრიანების სერია...

12:11 იყო სტუმართა სასარგებლოდ, ბურთთან „ბადახოსის“ მცველი სანდრო მარკესი რომ მივიდა. რამდენიმე წამში კი თავზეხელებშემოწყობილი, ალბათ, ფიქრობდა, ნეტა, არ მივსულიყავიო.

უფრო სოლიდური მეტოქის საწვალებლად „ოსასუნაც“ მზად იყო. პირველ მატჩში, სტუმრად 0:2 წაგების შემდეგ, შინ „რასინგს“ 1:0-ს უგებდა და მეორეს გატანაც შეეძლო, მაგრამ ფორტუნამ სხვაგვარად განსაჯა.

ოფლისღვრის გარეშე შემდგომ ეტაპზე ვერც „დეპორტივო ლა კორუნიამ“ გააღწია. 81-ე წუთზე ბრაზილიელ დონატოს რომ არ გაეტანა, წინ ხიხონელები წაიწევდნენ.

პრიმერა დივიზიონში წლეულს აბარგებულმა „ვილიარეალმა“ ადვილად მოუგო მეორე ლიგაში მოთამაშე „სევილიას“, სადაც შესაძლოა გოჩა ჯამარაულმა გააგრძელოს კარიერა, ხოლო ორი უსუსური კლუბის დავაში, უფრო ქვედა დივიზიონში მყოფმა „ლევანტემ“ პირველ შეხვედრაში სტუმრად გატანილი კინკილა გოლის წყალობით „ლას პალმასს“ მოუგო.

ამ ეტაპზე გამარჯვებულნი უმაღლესი დივიზიონის 10 კლუბს შეუერთდებიან და სწორედ ეს 16 გუნდი გააგრძელებს ესპანეთის თასისთვის ბრძოლას.

### მეოთხედფინალის კენჭისყრა

რეალი — ვილიარეალი; ესპანიოლი — ვალიადოლიდი; სელტა — დეპორტივო; ბილბაო — რასინგი; ლევანტე (III) — ვალენსია; ბენიდორმი (III) — ბარსელონა; სოსიედადი — ატლეტიკო; ბეტისი — მალიორკა

**ქირავდება**

1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა

ქავთარაძის ქუჩაზე

☎ 93 15 72

## ინგლისი

### ასოციაციის თასის მესამე წრე. გადათამაშება

**ფულემი 1:0 საუთჰემპტონი**

**ლიდსი 3:1 რაშდენი**

**სუონსი 1:0 ვესტ ჰემი**

### მეოთხე წრის კენჭისყრა

23 იანვარი

შეფილდ უენსდეი — სტოკპორტი (I); ბრისტოლი (II) — ლეიტონი (III); ვრექსემი (II) — ჰადერსფილდი (I); პორტსმუთი (I) — ლიდსი; შეფილდ იუნაიტედი (I) ან ნოთს ქაუნთი (II) — კარდიფი (III); სვინდონი (I) ან ბარნსლი (I) — ბორნმუთი (II); ნიუკასლი — ბრედფორდი (I); ლესტერი — ქოვენთრი; ასტონ ვილა — ფულემი (II) ბლექბერნი — სანდერლენდი (I); სუონსი (III) — დერბი; უიმბლდონი — ტოტენჰემი; ევერტონი — იფსვიჩი (I)

24 იანვარი

მანჩესტერი — ლივერპული; ვულვზი (I) — არსენალი;

25 იანვარი

ოქსფორდი (I) — ჩელსი

მესამედივიზიონელმა „სუონსიმ“ და მეორედივიზიონურმა „ფულემმა“ ინგლისის ასოციაციის თასის მესამე წრის გადათამაშებებში პრემიერლიგელებს აჯობეს.

პირველმა ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედს“ უმასპინძლა და მარტინ ტომასის 26-ე წუთზე გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით გაიმარჯვა. შედეგად „სუონსის“ 23 იანვარს კიდევ ერთ პრემიერლიგურ კლუბ „დერბი ქაუნთისთან“ მოუწევს ურთიერთობის გარკვევა.

რაც შეეხება „ფულემს“, მას შედარებით სუსტი მეტოქე ჰყავდა — ინგლისის უძლიერეს კლუბთა შორის ადგილის შესანარჩუნებლად მებრძოლი „საუთჰემპტონი“. ამ შეხვედრაშიც მხოლოდ ერთხელ აღმოჩნდა ბურთი კარში. სტადიონზე შეკრებილი 17 000 გულშემატკივრის სასიხარულოდ, სტუმართა კარში. ეს საგმირო საქმე მატჩის დასრულებამდე 7 წუთით ადრე ბარი ჰეილსმა ჩაიდინა და თავისიანებს შემდგომი ეტაპისკენ გაუხსნა გზა, სადაც „ფულემს“ ძალიან რთული ბარიერი ელის — პრემიერლიგაში გამარჯვების კანდიდატი, ბირმინგემის „ასტონ ვილა“.

მოულოდნელობამ არც ლიდსი დატოვა უყურადღებოდ იქ ჩასული „რაშდენ ენდ დაიმონდსი“ მე-11 წუთზე წინ გაიჭრა — კარლ ჰეგსმა იყოჩაღა. თუმცა შემდეგ „ელან როუდზე“ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო პირველივე ტაიმში თინეიჯერმა ალან სმიტმა გაქვითა, მეორეში „იუნაიტედი“ წინ გაიყვანა, ხოლო მერე შავკანიანმა ჰოლანდიელმა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა მესამეც შეაგდო და თავისი გუნდის ქომაგები საბოლოოდ დააწყნარა.

მეოთხე წრეში „ლიდსი“ პირველი დივიზიონის „პორტსმუთს“ შეებმება.



ლიდსი — რაშდენი 3:1. სტუმრების კარში პირველი ორი გოლის გამტანი ყმაწვილი ალან სმიტი

მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში უკვე რამდენიმე თვეა რაც ისტორიას ჩაბარდა, მაგრამ მისმა საორგანიზაციო კომიტეტმა, რომლის სათავეშიც მიშელ პლატინი იყო, მხოლოდ სამშაბათს შეწყვიტა არსებობა. საფრანგეთში ამ ტურნირის მოწყობისთვის ექვსი წლის მუხლჩაუხრელი შრომა და დიდძალი ფული გახდა საჭირო. ჰოდა, მსოფლიოს ჩემპიონატმაც ორგანიზატორებს ამაგი „დაუფასა“ და 505 მილიონი ფრანკის მოგება მოიტანა, თუმცა ამ თანხიდან ჯერჯერობით გადასახადები არაა გადახდილი. სამშაბათს გამართული საორგანიზაციო კომიტეტის სალიკვიდაციო სხდომას მიშელ პლატინი თავმჯდომარეობდა, ხოლო ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი, საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი კლოდ სიმონე და საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის მრჩეველი სპორტის დარგში მიშელ ლებლანი სტუმრად იყვნენ მიწვეულნი. სხდომის დამთავრების შემდეგ 80-იანი წლების უდიდესმა ფეხბურთელმა ჟურნალისტებისთვისაც მოიცალა და პრესკონფერენცია გამართა, რომლის შემოკლებულ ვარიანტს აქვე გთავაზობთ.

# ფიფა მილიონი დოლარით შეგვეწევა

**— მსოფლიოს ჩემპიონატმა რომ ამხელა მოგება მოიტანა, თქვენი დამსახურებაცაა. რას ფიქრობთ, როგორ უნდა გადანაწილდეს ეს თანხა?**

— ჩემი პოზიცია ასეთია: ჯერ იმ ათ ქალაქს უნდა დავუფასოთ გაწეული შრომა, რომელთა გარეშეც მსოფლიოს ჩემპიონატი ამ დონეს ვერ მიაღწევდა, შემდეგ ფეხბურთს და ბოლოს მთლიანად სპორტს უნდა ერგოს თავისი წილი.

**— ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებთ, თითქოს ეს-ესაა დიდი ტვირთი მოგხსნესო. მართალია?**

— რა თქმა უნდა. საორგანიზაციო კომიტეტის უკანასკნელ სხდომას სამი დღის განმავლობაში ვამზადებდი და მიხარია, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ჩემი ცხოვრების კიდევ ერთი ეტაპი დავასრულე, ეტაპი, რომელიც უმშვენიერესი იყო და ჩემზე წარუშლელ კვალს დატოვებს. დღეიდან ახალ საქმეებს ვიწყებ.

**— ფიფაში ზუსტად რა როლს შეასრულებთ? ბატონმა ბლატერმა თქვა, რომ თქვენ ფეხბურთის სინდისი იქნებით...**

— ეს მხოლოდ სიტყვებია. ჯერ კიდევ ადრეა ჩემი ფუნქციების ზუსტად განსაზღვრამდე. ფიფას ძალიან კარგად არ ვიცნობ. დღესვე მივემგზავრები ციურიხში, რათა უფრო ახლოს გავეცნო მის საქმიანობას, მაგრამ საცხოვრებლად შვეიცარიაში არ გადავალ. ოფისი პარიზში მექნება. მინდა, ბევრი რამ შევცვალო, უფრო სოციალურ ასპექტში. მაგალითად, მსურს, ყველგან დავნერგო ფეხბურთი — სწავლის პრინციპი, რათა იმ ბავშვებმა, რომლებიც სპორტში წარმატებას ვერ მიაღწევენ, ცხოვრებაში სხვა გზა მაინც გაიკვალონ. გარდა ამისა, ფიფა ყველა მის წევრ ფედერაციას მილიონ დოლარს მისცემს. დიდი ქვეყნებისთვის ეს ზღვაში წვეთია, მაგრამ პატარებისთვის საკმაოდ სოლიდური თანხაა, რომლის მეშვეობითაც ბევრი რამის გაკეთება შეიძლება. მე კი იმას მივაქცევ ყურადღებას, რომ ყველამ ფეხბურთს მოახმაროს ეს ფული.



მიშელ პლატინი

**— ბლატერთან კონფლიქტი ხომ არ მოგივათ მსოფლიო ჩემპიონატების ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ჩატარების იდეის გამო?**

— არა, რატომ? უკვე რამდენიმე თვეა, რაც ამ იდეის შესახებ ვიცი. ჩემის აზრით, თავდაპირველად მთლიანად საფეხბურთო კალენდრის ჰარმონიზებაა საჭირო. ხოლო ამის შემდეგ ვნახავთ, რამდენად იქნება შესაძლებელი მსოფლიოს ჩემპიონატებს შორის შუალედის შემცირება. ერთი სიტყვით, ვფიქრობ, რომ ეს იდეა განხორციელებადია, თუმცა უნდა დავფიქრდეთ და გადაწყვეტილება აუჩქარებლად მივიღოთ.

**გაიოზ თალაკვაძე**

# ვინ ზრუნავს ფეხბურთზე?

ფიფას პრეზიდენტის, იოზეფ ბლატერის სურვილმა, 21-ე საუკუნის დასაწყისიდან მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატები ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ჩაატაროს, დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. პრეზიდენტის მოსაზრებას გამოეხმაურნენ მისი კოლეგები, სხვადასხვა რანგის საფეხბურთო ჩინოვნიკები, მიმომხილველები და რა თქმა უნდა, ის ადამიანები, რომელთაც წონიანი სიტყვა ეთქმით და მთელს დედამიწაზე პატივს სცემენ.

ინგლისური ფეხბურთის ლეგენდამ ბობი ჩარლტონმა „როიტერის“ კორესპონდენტთან საუბრისას განაცხადა, რომ იგი ბლატერის პროექტის წინააღმდეგია.

„ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ორწლიან ციკლზე გადასვლის სურვილს მივესალმები“ — თქვა 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა — „მე თუ მკითხავთ, ეს ისეთი იდეაა, რომელსაც სერიოზული განხილვა სჭირდება. მისი მნიშვნელობა არც უნდა გავაზვიადოთ და არც უნდა დავაკნინოთ. საკუთრივ იოზეფ ბლატერს კი დიდ პატივს ვცემ და მის მოსაზრებებს ყოველთვის გულისყურით ვეკიდები“.

ჩარლტონის თანამემამულემ და ყოფილმა თანაგუნდელმა, მასავით 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა, ფინალურ შეხვედრაში სამი გოლის ავტორმა ჯეფ ჰერსტმა დასძინა:

„ვგონებ, ორწლიან ციკლზე დღესვე არ გადავდივართ. აქ სამომავლო გეგმებზეა საუბარი, მაგრამ ისიც მწამს, რომ როდესაც ბლატერისნაირი ბიჭები რაღაც თემაზე საუბარს იწყებენ, იმ თემას მეტად სერიოზულად უნდა მოვკიდოთ“.

მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტმა, გერმანული ფეხბურთის უდიდესმა ვარსკვლავმა ფრანც ბეკენბაუერმა საკითხს სხვა კუთხით შეხედა:

„იდეა ჯერჯერობით თეორიის დონეზეა და უთუოდ იმსახურებს სერიოზულ განხილვას. დღეს მსოფლიო ფეხბურთი ძალიან საინტერესო განვითარების ეტაპზეა და პრეზიდენტის მოსაზრებასაც ამ განვითარების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად აღვიქვამ. ვნახოთ, ნუ ვიჩქარებთ. ერთი ცხადია, რომ ახალი პროექტის მიხედვით დიდი გუნდები უფრო ხშირად შეხვდებიან ერთმანეთს, რაც ძალიან კარგი უნდა იყოს“.

ბეკენბაუერი რის ბეკენბაუერი იქნებოდა, იქვე ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე რომ არ ჩაერთო ორიოდ სიტყვა:

„ევროპა ვითარდება, საზღვრები იშლება, აგერ უკვე ევროც გვაქვს. ამიტომ არ იქნება გასაკვირი, რომ ერთ მშვენიერ დღეს კონტინენტზე გაერთიანებული ჩემპიონატი ჩატარდეს. ჯერჯერობით კი ბუნდესლიგა უფრო კარგი სანახაობაა, ვიდრე ჩემპიონთა ლიგის გათამაშება“.

ადამიანი, რომელმაც ცალსახად ბლატერის მხარე დაიჭირა მილიონერთა შორის უმდიდრესი, ავსტრალიელი რუპერტ მერდოკი გახლდათ. მოგეხსენებათ, მერდოკი სერიოზულადაა ჩართული სპორტულ და მათ რიცხვში საფეხბურთო საქმეებში. მისი ტელეკომპანია BSKyB ინგლისისა და შოტლანდიის პრემიერლიგების ტრანსლაციათა საგანგებო უფლებებს ფლობს და ბრიტანეთის უდიდესი კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედიც“ მისი საკუთრება გახლავთ.

„პირველი რეაქცია აღფრთოვანებისა მქონდა. მართალია, გეგმას დაწვრილებით არ გავცნობივარ, მაგრამ ვგონებ, ძალიან კარგი იდეა უნდა იყოს. ფეხბურთი დედამიწის უმეტეს ნაწილზე იმდენადაა ფეხმოკიდებული, რომ მისი მსოფლიო ჩემპიონატი დღევანდელთან შედარებით უფრო ხშირად უნდა იმართებოდეს. იქნებ ასეთი გეგმაც შევიმუშაოთ: ნაკრებებს შორის მსოფლიოს პირველობა ძველებურად ოთხ წელიწადში ერთხელ დავტოვოთ, ხოლო მათ შუაში მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატები გავმართოთ“.

თუ დავაკვირდებით ბიზნესმენმა მერდოკმა ფულის მოგების კუთხით შეხედა საკითხს. ასევე, ოღონდ ევროპული მასშტაბით იმსჯელა „ბაიერნის“ კოსმოპოლიტმა პრეზიდენტმა ბეკენბაუერმა, ინტელიგენტ ფეხბურთელს სერ ბობი ჩარლტონს გულმა თავად ფეხბურთისთვის ზრუნვა უკარნახა, ხოლო ჰერსტმა ალალად თქვა, ჭკვიანი ბიჭები რომ ლაპარაკობენ, მე ჩუმად ვარო.

თავისი პროფესიიდან გამომდინარე, იმსჯელა გერმანიის ნაკრების ექიმმა ვილფრედ კინდერმანმაც: „გეგმის დასახვის დროს უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ ჯანმრთელობის დაცვის საკითხიც. დღეს მოთამაშეები 34-35 წლისანი ანებებენ ფეხბურთს თავს, მაგრამ თუ დაძაბული მატჩების რაოდენობას გავზრდით, ეს ასაკი სავარაუდოდ 30-31 წლამდე შემცირდება. გარდა ამისა, კომერციული ინტერესი და კალენდრის კიდევ უფრო გადატვირთვა გამოიწვევს დოპინგის მოხმარების გაზრდას. ფეხბურთელებისგან სხვებზე მეტ ზნეობას ტყუილად ვითხოვთ“.

**მიხეილ სურგულაძე**

# ამდენი ფეხბურთის შემდეგ მსოფლიო თასი გაიძვება

როდესაც ახალი ამბავი შევიტყე, სიტყვასიტყვით ასე ამოვიძახე: ეეჰ, ზეპ, კარგი, რა!“

ახალი ამბავი ასეთი გახლდათ: ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ „ზეპ“ ბლატერმა გადაწყვიტა ფეხბურთი ოლიმპიური თამაშების კალენდარს მოარგოს და მსოფლიოს ჩემპიონატი ორ წელიწადში ერთხელ, კენტ წლებში ჩაატაროს. როგორც ჩანს, ეს ნაბიჯი ბლატერს ფულმა გადაადგმევინა.

თავისთავად იდეა დანაშაულებრივი არ არის: დღეს ოლიმპიადა ფეხბურთისთვის, ფაქტობრივად, 23 წლამდელთა ნაკრებების ტურნირია, არადა მის ნამდვილ შეჯიბრებად ქცევა სურთ. საამისოდ მსოფლიოს ჩემპიონატს კენტ წელიწადს ჩაატარებენ, ოლიმპიურ თამაშებს ლუწ წელიწადს, ხოლო მეორე კენტ წელიწადს კონფედერაციათა პირველობებს (ევროპის, სამხრეთ ამერიკის და ა.შ. ჩემპიონატები) დაუთმობენ. ოღონდ, ვგონებ, ფეხბურთისთვის ეს მეტისმეტი იქნება.

მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატმა მილიარდობით დოლარი მოიტანა (თუ თანამდევ სარფსაც გავითვალისწინებთ) მთელ დედამიწაზე კაფე-ბარებში ტელევიზორები იყო ჩართული და იყიდებოდა საჭმელ-სასმელი უზღავი რაოდენობით. ამას დაამატეთ გაზეთები, რომლებიც შეჯიბრებას აშუქებდნენ, პლუს ბიჭები ლურჯ-წითელი მამლის სამოსში (საფრანგეთი 98-ის თილისმა) აქეთ-იქით რომ დაატარებდნენ პროდუქტებს, კიდევ რიოს ფსიქიატრიულში სამკურნალოდ მოხვედრილი ადამიანები, ბრაზილიის წაგების გამო თავს რომ იხრჩობდნენ... მართლაც, მსოფლიოს ჩემპიონატთან შედარებით აშშ-ის ნებისმიერი სპორტული შეჯიბრება — მე გარწმუნებთ ნებისმიერი — ტუტუცობად მოჩანს.

მაშ, რად არ უნდა სურდეს ფიფას მისი ორ წელიწადში ერთხელ გამართვა?

მსოფლიოს ჩემპიონატი ყველას უყვარს — მას 37-მა მილიარდმა ადამიანმა უცქირა (ეს ჯადოსნური ჯამური ციფრია, რომელსაც ტელეკომპანიები ითვლიან ხოლმე, დედამიწის მოსახლეობაზე ექვსჯერ მეტია).

აი, ახლა კი მოგახსენებთ, რატომ არ მინდა მსოფლიოს ჩემპიონატები ორ წელიწადში ერთხელ რომ გაიმართოს: იმიტომ, რომ ეს ფულის გამო კეთდება.

უფრო ნათლად ასე ვიტყოდი: ფული არც ისე ცუდი რამ არის. სწორედ მისი გულისთვის სხედან ჩემნაირი მესვეტეები მთელი დღე მატარებელში და სადღაც მიემართებიან. ფაქტია, მე რომ იმდენ ფულს მიხდიდნენ, რამდენსაც ვმოგზაურობ, ისევე არ დავიჩივლებდი, როგორც ვაშინგტონში, თეთრ სახლში მომუშავე ადამიანები, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ჩემპიონატების ორ წელიწადში ერთხელ გამართვის იდეას ფეხბურთთან საერთოდ არ აქვს კავშირი. აქ უხეშ და უკიდურესად ხარბ გეგმას ვეჯახებით.

თავისთავად მსოფლიოს ჩემპიონატი ნამდვილი მკვლელობაა. მე იქნებ გალიზიანებდეც კიდეც (ბოლოს და ბოლოს ეს ამბავიც უნდა ვიცოდე და მერწმუნეთ, ამისთვისაც მადლობელი დაგრჩებით), მაგრამ უნდა გითხრათ, რომ საფრანგეთში სამი კვირის განმავლობაში, დღეში 18 საათის მუშაობის, მატარებლებში, პრესცენტრებსა და სტადიონებზე ჯდოგან დროს კინაღამ მოვკვდი. რა დამავიწყებს ჩემს პატივცემულ კოლეგასთან, ჩვეულებრივ პირობებში მშვიდ და მუდამ გენიალურ ჯორჯ ვესკისთან შეხვედრას („ნიუ იორკ ტაიმსიდანაა“). ის მზად იყო, ვინმე გამოეფატრა. მეორე ეტაპის შუიდან კი ველარ გაძლო. არადა, ამ კაცს შემართებისა და სიმტკიცის გამო კაპიტანს უწოდებენ.

კეთილი, ჩვენ ჟურნალისტები ვიყავით, მაგრამ მე საფრანგეთში აშშ-ის ნაკრების თავდამსხმელს ბრაიან მაკბრაიდსაც შევხვდი — იგი დიდი გულის მქონე დიდი ბიჭია — და გავიფიქრე, ღმერთო, რა საძაგლად გამოიყურება. მანაც მითხრა, რომ ყველაფრისგან გამოიფიტა და ძალზე და გონზე მოსასვლელად რამდენიმე კვირა სჭირდება. შემდეგ მაკბრაიდის კლუბის მწვრთნელმა ტომ ფიცჯერალდმა მიამბო, რომ „კოლამბუსში“ დაბრუნებული ფეხბურთელის მდგომარეობამ ძალიან შეაწუხა. ნაკრების მეორე წევრის, ედი პოუპის კლუბის თავკაცმა კი აღიარა, რომ მოთამაშეს განუსაზღვრელვადიანი შვებულება უბოძა.

მე, ჟურნალისტი, დღეში სამჯერ ვვარდებოდი სტრესში და წარმომიდგენია ფეხბურთელები, რომლებმაც იციან, რომ მთელი მსოფლიო დაჟინებით უყურებთ, რა ჭკუაზე იქნებოდნენ.

გუნდების უმეტესობას ამისთვის მოსამზადებლად ორი წელიწადი სჭირდებათ.

ახლა წარმოიდგინეთ იმ ევროპელი ბიჭების მდგომარეობა, რომლებიც 44-თამაშიანი ესპანური სეზონით გათანგულები ზედაც 10 სათასო შეხვედრას ატარებდნენ, ამას დაამატეთ ამხანაგურები და ნაკრების მატჩები — აიტანენ ისინი დატვირთვის გაორმაგებას?

და პატარა ქვეყნები, მაროკოები, დანიები, შოტლანდიები? — თუმცა ახალ პროექტში ალბათ, ნავარაუდევია, რომ ისინი მალევე წააგებენ და გავარდებიან ხოლმე თორემ პატარები კი არა, თვით აშშ თავისი ფულით და სპონსორებით ერთობ რთულ დღეში ჩავარდება.

ჩვენ, ამერიკელებს უბრალოდ ფეხბურთელები გვაკლია და პლანეტის ფულიც რომ მოაქუჩო, ვერაფერს გახდები.

ცხადია, მსოფლიოს ჩემპიონატის ორ წელიწადში ერთხელ ჩატარება ეკონომიკურად მომგებიანი იქნება იმავე ფეხბურთელებისთვისაც, მაგრამ სიყვარული?

რა მოუვათ ჩილელებს ან პარაგვაელებს, რომლებიც გულით ცხოვრობენ და კვდებიან? შეიძლება მათი გულების ასეთ რიტმში მოქცევა?

ბლატერის გეგმა იქნებ ძალიან თანამედროვედაც ჟღერდეს, მაგრამ ათასწლეულის მიწურულს ამდენი მოდერნი ყელში ამოვიდა. მე მინდა, სამი წელი ვიცადო და მერე ნახვად რომ ღირს ისეთ თამაშებს ვუცქირო.

**ჯეიმი ტრეძერი „კიკი“, აშშ**



სარეზერვო ალბომიდან

ძნელი გასაძლებია მსოფლიოს ჩემპიონატი

# ჯორდანი ერთი და ღმერთი





**მაიკლ ჯორდანი**

დაიბადა 1963 წლის 17 თებერვალს ნიუ იორკში
„ჩიკაგო ბულზის“ ფორვარდი
სიმაღლე 196 სმ
კარიერა: ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტი (1982-84); „ჩიკაგო ბულზი“ (1984-93, 1995-98)
ნბა-ს ჩემპიონი: 6 (1991, 92, 93, 96, 97, 98)
ნბა-ს უძვირფასესი მოთამაშე: 5 (1988, 91, 92, 96, 98)
ნბა-ს ფინალის უძვირფასესი მოთამაშე: 6 (1991, 92, 93, 96, 97, 98)
ოლ სტარი: 11 (1985, 87-93, 96-98)
ოლ სტარის უძვირფასესი მოთამაშე: 3 (1988, 96, 98)
ოლიმპიური ჩემპიონი: 2 (1984, 1992)

## მაიკლ ჯორდანის კარიერის რეკორდები

| | | |
|---|---|---|
| ქულა | 69 | კლივლენდთან, 28.03.90 |
| მოხსნა • | 18 | ორჯერ |
| პასი | 17 | პორტლენდთან, 24.03.89 |
| ჩაჭრა | 10 | ნიუ ჯერსისთან, 29.01.88 |
| დაფარება | 6 | სიეტლთან, 12.02.86 |
| სამქულიანი | 7 | ვორიორზთან, 18.01.90 |
| საჯარიმო | 26 | ნიუ ჯერსისთან, 26.02.87 |

დასაწყისი პირველ გვერდზე

მაიკლ ჯორდანმა სტუდენტური საკალათბურთო კარიერა ერთ-ერთ უძლიერეს ჩრდილო კაროლინას კოლეჯში დაიწყო და დაამთავრა. ჩრდილო კაროლინას გუნდი მაიკლ ჯორდანის შემწეობით სტუდენტური ლიგის ჩემპიონი გახდა. სტუდენტური კარიერის ბოლოს, 1984 წელს კი იგი უძლიერესად აღიარეს. შემდეგ იყო 1984 წლის დრაფტი. ცოტა უცნაურია, რომ იგი დრაფტის მხოლოდ მესამე ნომერი გახდა. ამაში, ალბათ, დიდი როლი იმან ითამაშა, რომ მაიკლ ჯორდანი უკანახაზელი გახლდათ, დრაფტში კი მეტ ყურადღებას უფრო აღნაგ მოთამაშეებს აქცევენ. ასე თუ ისე, იგი ლიგის ერთ-ერთმა აუტსაიდერმა, „ჩიკაგო ბულზმა“ აიყვანა და ეს მისთვის ღვთის წყალობა გამოდგა.

თავის პირველ პროფესიულ ჩემპიონატამდე ჯორდანმა სხვა სტუდენტებთან ერთად მონაწილეობა მიიღო 1984 წლის ლოს ანჯელესის ოლიმპიადაზე და ოქროს მედალიც მოიპოვა. ნბა-ში კარიერის პირველ, 1984-85 წლების სეზონში ჯორდანმა დაამხო „ჩიკაგო ბულზის“ ერთი სეზონის რეკორდები ქულებში (2313 ქულა სეზონში), საჯარიმოებში (630 ჩაგდება 746 სროლიდან) და ჩაჭრებში (196 ჩაჭრა). თავის გუნდს წინა სეზონთან შედარებით 11 თამაშით მეტი (38) მოაგებინა, რამაც მანამდე უსუსურ კლუბს ცენტრალურ დივიზიონში მეოთხე ადგილი და პლეი ოფის საგზური მოუტანა. თუმც იქ მილუოკის იმ დროის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს გადაეყარა და სერია 1:3 დათმო. იმ წელს ჯორდანი, რაღა თქმა უნდა, წლის უძვირფასესი ახალბედა გახდა. ამასთან, იგი შეიყვანეს ნბა-ს მეორე გუნდში და აირჩიეს „ოლ სტარის“ სასტარტო ხუთეულში.

მომდევნო, 1985-86 წლების სეზონი თამამად შეგვიძლია დიადი კალათბურთელის კარიერაში ყველაზე უიღბლოდ ჩავთვალოთ. რეგულარული სეზონის მესამე მატჩში ჯორდანმა მარცხენა ტერფის უმძიმესი ტრავმა მიიღო და იძულებული გახდა, 63 თამაშის განმავლობაში სკამიდან ეცქირა თავისიანების საცოდაობისთვის. სეზონის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე დაბრუნდა იგი და ყველას უჩვენა, როგორ უნდა კალათბურთის თამაში. მან პირადად გაიყვანა ჩიკაგო პლეი ოფში. მართალია, აქ მომავალი ჩემპიონის, ლარი ბერდის და მისი „ბოსტონ სელტიქსის“ კლანჭებში აღმოჩნდა და სერია სამ თამაშში წააგო, მაგრამ რასაც იგი ამ მატჩებში სჩადიოდა, მხოლოდ საოცრება შეიძლება ვუწოდოთ. ამ სამ შეხვედრაში ჯორდანმა საშუალოდ 43,7 ქულა მოაგროვა, მეორე შეხვედრაში კი 63 ქულა მიითვალა. საერთოდ პლეი ოფების ყველა დროის რეკორდი დაამყარა.

მომდევნო სეზონიდან იწყება ჯორდანის განუკითხავი ბატონობა ბომბარდირთა დავაში. სეზონის ბოლოს საშუალოდ მატჩში 37,1, ჯამში კი 3000 ქულაზე მეტი გამოუვიდა, რაც უილტ ჩემბერლენის შემდეგ პირველი შემთხვევა იყო. ჯორდანმა ამასთან 200 ჩაჭრა და 100 ბლოკი გააკეთა სეზონში. ესეც კიდევ ერთი რეკორდი ლიგის ისტორიაში. მომდევნო სეზონი გარდატეხის ხანად იქცა როგორც ჯორდანის კარიერაში, ასევე ჩიკაგოს ისტორიაში. გუნდში მივიდა ორი პერსპექტიული ახალგაზრდა — სკოტი პიპენი და ჰორას გრანტი. ჯორდანი მესამედ გახდა სეზონის ბომბარდირი, თანაც პირველად მოიპოვა სეზონის უძვირფასესი მოთამაშის ტიტული და ამას საუკეთესო მცველად აღიარებაც დაურთო. „ოლ სტარის“ უძვირფასესი მოთამაშის წოდებაც არ დაიკლო და ზედიზედ მეორე წელს მოიგო ჩატენვების კონკურსი. ასე რომ, მაიკლ ჯორდანს ტიტულები არც მანამდე და არც შემდეგ არ აკლდა, მაგრამ ნანატრი ჩემპიონობა იგვიანებდა. ჩემპიონობა ფილ ჯექსონთან, ჩიკაგოს ახალ მწვრთნელთან ერთად მოვიდა 1991 წელს.

### როგორც იქნა!

1991 წელს „ჩიკაგო ბულზი“, პირველად კლუბის ისტორიაში, მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ახალმა მწვრთნელმა ფილ ჯექსონმა ძალიან მოქნილი გუნდი ჩამოაყალიბა და შედეგმაც არ დააყოვნა. ჩიკაგო ზედიზედ სამჯერ გაჩემპიონდა. ეს გუნდი, რა თქმა უნდა, ჯორდანის ირგვლივ შეიკრა. ახალგაზრდა თავდამსხმელი ჰორას გრანტი და ბებერი ცენტრი ბილ კარტრაიდი ფარზე მუშაობდნენ და საკმაოდ შედეგიანადაც. ერთ დროს სუსტი და გამხდარი სკოტი პიპენიც საკმაოდ მოღონიერდა და ჯორდანის მარჯვენა ხელი შეიქნა მოედანზე. თავად ჯორდანმა კი მეორედ მოიპოვა სეზონის უძვირფასესის და მეხუთედ უპირველესი ბომბარდირის ტიტული მატჩში საშუალოდ 31,5 ქულით. ჩემპიონობისკენ გზაზე კი ისეთი გრანდები ჩამოიშორა, როგორებიც იყვნენ პატრიკ იუინგის „ნიუ იორკი“, ჩარლზ ბარკლის „ფილადელფია“, ჩემპიონი „დეტროიტი“ — კონფერენციის ფინალში და ლეგენდარულ მეჯიკ ჯონსონის „ლეიკერსი“ ნბა-ს ფინალში.

ჯორდანი მომდევნო სეზონშიც გახდა სეზონის უძვირფასესი და პირველი ბომბარდირი. ჩიკაგომ კი ფინალში ახლა უკვე კლაიდ დრექსლერის „პორტლენდი“ დასცა ექვსმატჩიან სერიაში. ჯორდანმა 1992 წელს კიდევ ერთ, ბარსელონის ოლიმპიადაზე იასპარეზა და დიად გუნდ დრიმ თიმ I-თან ერთად მეორედ მოიპოვა ოლიმპიური ოქრო. 1993 წელს ჯორდანმა ვერ მოიპოვა უძვირფასესის წოდება. ჟურნალისტებმა მას ჩარლზ ბარკლი ამჯობინეს, მაგრამ ფინალში ბარკლის „ფინიქსისა“ და ჩიკაგოს შეხვედრაში ჯორდანმა ყველაფერს თავის ადგილი მიუჩინა და ზედიზედ მესამე ჩემპიონობით ყველას აჩვენა, თუ ვინ არის ნამდვილი უძვირფასესი. ზედიზედ სამჯერ ჩემპიონობა სახუმარო საქმე სულაც არაა და ღმერთკაცმა დაღლა იგრძნო. „ჩემთვის კალათბურთი სამუშაოდ იქცა“ — თქვა მან, წასვლა გადაწყვიტა და ამერიკა გაოგნა. ძნელი სათქმელია, ჯორდანმა დასვენება გადაწყვიტა თუ საერთოდ კალათბურთიდან წასვლა. ასე თუ ისე, მან დაისვენა, თავი კეტბურთით შეიქცია და კვლავ დაუბრუნდა საყვარელ თამაშს.

### მეორედ მოსვლა

ჯორდანი მოვიდა. მოვიდა, რათა კვლავ დაეპყრო კუთვნილი საკალათბურთო ტახტი, რათა კვლავ დაეტკბო მილიონობით გულშემატკივარი თავისი უზადო, სრულქნილი, ფანტასტიკური თამაშით. მას სხვა გუნდი დახვდა. გრანტი, არმსტრონგი, კარტრაიდი და სხვები როდმანმა, ჰარპერმა, კუკოჩმა და ლონგლიმ შეცვალეს. მხოლოდ ძველი მეგობარი სკოტი პიპენი შემორჩა ადრინდელი ჩემპიონი გუნდიდან. მაგრამ, რაც მთავარია, იგი დაბრუნდა და კვლავ შეუდგა საქმეს. 1995 წელს წავარჯიშების შემდეგ ჩიკაგო კვლავ სამჯერ გახდა ლიგის ჩემპიონი ფინალებში „სიეტლი“ და ორჯერ „იუტას“ დამარცხებით. მისმა ჰაერის უდიდებულესობამ ამ სამ სეზონში ორჯერ ირგუნა სეზონის უძვირფასესის, ორჯერ „ოლ სტარის“ უძვირფასესის წოდებანი და, რა თქმა უნდა, სამივე წელს გახდა უპირველესი ბომბარდირი. ამგვარად, მას ბომბარდირის ათი წოდება დაუგროვდა, რაც ლეგენდარულ ცენტრს უილტ ჩემბერლენს მხოლოდ შვიდჯერ მოუხერხებია. და მან გადაწყვიტა, ახლა უკვე ნამდვილად წასვლის დროაო და იგი წავიდა 35 წლისა ისე, რომ მისი ნამდვილად დამარცხება ვერავინ შეძლო 90-იან წლებში.

### ეპილოგი

როდესაც ჯორდანს ეკითხებიან, რატომ ვერავინ შეძლო მისი დამარცხება 90-იან წლებში, მაიკლი მხრებს იჩეჩავს. „ალბათ იმიტომ, რომ ჩემი მეტოქეები არ იყნენ თავიანთ თავში და გამარჯვებაში ბოლომდე დარწმუნებულნი. თუ გამარჯვება გინდა, მთლიანად შემართული უნდა იყო. ეს უნდა გახდეს შენი ცხოვრების უმთავრესი მოწოდება.“ ეს ყურად უნდა იღოს მისმა მომდევნო თაობამ, რომელიც ფულზე უფრო მეტს ფიქრობს, ვიდრე თამაშზე. „ღლევანდელმა კალათბურთმა დაკარგა ძველი სახე. იგი მილიონების კეთების შედარებით იოლ საშუალებად იქცა“ — ამბობს კალათბურთის მეფე.

რას გააკეთებს მაიკლ ჯორდანი კალათბურთიდან წასვლის შემდეგ? რით შეავსებს თავის ცხოვრებაში ამ დიდი სიცარიელეს, რომელიც სპორტიდან წასვლის შემდეგ გაუჩნდა? „ვითამაშებ გოლფს, დავისვენებ და, რაც მთავარია, ოჯახს მივხედავ. ვიცხოვრებ სხვანაირად და გავაკეთებ იმას, რისი შანსი და დროც წინათ არ მქონდა. ამაში უპირველესად ჩემი ოჯახი დამეხმარება.“

კალათბურთს ეთხოვება უდიდესი მოთამაშე, რომლის დარი მსოფლიოს არც ჰყოლია და არც ეყოლება. იგი მთლიანად დაიხარჯა კალათბურთში და კალათბურთისთვის. დიადი სპორტსმენი წავიდა, წავიდა ახალ ცხოვრებაში.

**ირაკლი ფირაშვილი**



| მაიკლ ჯორდანი | თამ. | წუთი | 2-ქულიანი | 3-ქულიანი | საჯარიმო | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარ. | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რეგულარული სეზონი | 930 | 35 887 | 10962-21686 | 555-1670 | 6 798-8 115 | 5 836 | 5012 | 2306 | 828 | 29277 |
| ფლეი ოფი | 179 | 7 474 | 2188-4497 | 148-446 | 1 463-1 766 | 1 152 | 1022 | 376 | 158 | 5987 |
| ოლ სტარი | 11 | 324 | 97-193 | 3-9 | 37-50 | 52 | 49 | 33 | 6 | 234 |

ევროლიგა.
XII ტური 13 იანვარი

EURO LEAGUE

E ჯგუფი
ფენერბაჰჩე 66:61 ციბონა
F ჯგუფი
ეფესი 71:67 ტაუგრესი
G ჯგუფი
ოლიმპიაკოსი 57:71 პაოკ

კორაჩის თასი. მერვედფინალი.
პირველი მატჩები. 13 იანვარი

**დიჟონი (საფრანგეთი) — აპოლონი (საბერძნეთი) 68:52**

**დუკატო (იტალია) — შიაულიაი (ლიტვა) 85:45**
დუკატო: ალბერტი, ამაია (10), ბონელი, კორჩიანი (12), ლარსენი (4), მიდლტონი (18), მინტო (20), ოლივერი (21), როსეტი

**ადეკო (ესპანეთი) — პოზონი (პოლონეთი) 76:71**
ადეკო: აზოფრა, ვილა (12), ხიმენესი (2), მარტინესი (3), რეიესი (14), რობლესი (11), ტომპსონი (12), ვანდივერი (22)

**ბარსელონა (ესპანეთი) — დარუშაფაკა (თურქეთი) 83:71**
ბარსელონა: ალსტონი (14), ჯორჯევიჩი (17), ერნანდესი, ესტელერი (12), გუროვიჩი (19), რენციასი (8), როდრიგესი (13)

**აეროპორტი (იტალია) — არსენალი (რუსეთი) 79:83**
აეროპორტი: ამბრასა (13), ბონი (9), ბუსკა (4), კიდი (16), ობრადოვიჩი (8), პესინა (11), როსინი (4), ტონოლი (14)
არსენალი: კონოვალოვი (2), ლავროვი (3), პეტრენკო (23), სოლოვიოვი (12), სტრელკინი (15), ტენი (4), ვადეევი (10), ერემენკო (14)

**ბეშიქთაში (თურქეთი) — ციტლიუკი (ბოსნია) 84:53**

**რადნიჩკი (იუგოსლავია) — პანიონიოსი (საბერძნეთი) 74:88**
პანიონიოსი: კასოლი (4), კუპერი (8), კამარიოტისი, კარაგუტისი (19), კიკილიასი (15), იელიჩი (4), მიხალოსი (5), სიმსი (31), სტავრაკოპულოსი (2)

**გალათასარაი (თურქეთი) — ოსტენდე (ბელგია) 62:58**

საპორტას თასი. მეთექვსმეტედფინალი.
პირველი მატჩები. 13 იანვარი

**ანტვერპენი (ბელგია) — ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) 67:64**

**ბროცენი (ლატვია) — პარტიზანი (იუგოსლავია) 84:97**
პარტიზანი: ბრკიჩი (24), ჩუბრილო (17), ჯოკიჩი (2), ლუკოვსკი (14), რადოშევიჩი (16), ტომაშევიჩი (15), ვარდა (2), ვიდაჩიჩი (7)

**ოვარენშე (პორტუგალია) — ულმი (გერმანია) 66:62**

ბატუტზე ხტომა

# ცხოვრება ცირკია?

**ახალი წელი** ანუ ახალი სეზონი, ცხადია, ბატუტისტებისათვისაც დაიწყო, მაგრამ ახალ წელს მათთვის ჯერ არანაირი სიახლე არ მოუტანია და ისინიც ძველებური პრობლემებით შეფიქრიანებულნი აგრძელებენ ცხოვრებასაც და ვარჯიშსაც, თუმცა რამდენიმე ამბავმა მაინც მიიქცია ჩვენი ყურადღება. მივყვეთ თანმიმდევრობით.

საახალწლო დღეებში ევროპის აწ უკვე შარშანწინდელი ჩემპიონობისათვის კუთვნილი და ჯერაც მიუღებელი პრემიისა და ღირსების ორდენის მისაღებად თბილისს გერმანიაში გათხოვილი ანა დოლონაძე ეწვია. ახლობელთა მონახულების შემდეგ მან ფედერაციაში თავისი ყოფილი მწვრთნელ-კოლეგებიც მოიკითხა, თუმცა პრემია-ორდენი მაინც ვერ მიიღო. დეპარტამენტმა, ახლა ვერა და უახლოეს ხანებში ნამდვილად მოგცემთ, რადგან მათ ჯერ ჩვენამდე არ მოუღწევიათო, დააიმედა გერმანიის გზაზე მდგარი ანა. შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონობისთვის და დიდი სპორტული მიღწევებისთვის ანა და რუსიკო ხოფერია ღირსების ორდენით, ხოლო მათი მწვრთნელი ზაურ სულაშვილი ღირსების მედლით დაჯილდოვდნენ. ამათგან ჯილდო მხოლოდ ხოფერიამ მიიღო.

ახალგაზრდა ბატუტისტებში მსოფლიოს ჩემპიონმა ზაზა აბრამაშვილმა რომ დიდ სპორტში დაბრუნება გადაწყვიტა, უკვე გაუწყეთ. დღეს ადრინდელზე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მისი დაბრუნება რეალურია. ეს ზაზამ თავისი ოჯახის წევრების საშუალებით აცნობა ფედერაციას ლას ვეგასიდან, თუმცა თავად ჯერ არ შეხმიანებია და ამიტომ გადაჭრით ვერავინ ვერაფერს ამბობს. ლას ვეგასში კი ზაზა მოსკოვიდან მოხვდა, სადაც ის ნიკულინის ცირკში გამოდიოდა. ამერიკელებმა იმ ნომრის მონაწილენი, რომელშიც ზაზაც გამოდიოდა და სხვა ქართველი მწვრთნელ-სპორტსმენებიც, კონტრაქტით საგანგებოდ მიიწვიეს. ზაზამ ეს კონტრაქტი დაარღვია და სიდნეის ოლიმპიადისთვისაც იქვე ემზადება. ამ ამბავში ბევრი რამაა გაურკვეველი. იმედია, ის თავად შეეხმიანება ჩვენს ფედერაციას და ყველაფერი გაცხადდება. ისე კი, თუ ამ დონის სპორტსმენი ქართულ სპორტს დაუბრუნდება, ამას არაფერი სჯობს. მაშინ სიდნეის ოლიმპიადაზე მართლაც შეიძლება ფიქრი, რაც ზაზას ოცნებაა. სპორტული ფორმის აღდგენა მას არასოდეს უჭირდა. თვით ამ ცირკშიც ურთულესი პროგრამით ასპარეზობდა, ტრამპლინიდან ტრამპლინზე ოთხმაგი მალაყითაც ხტებოდა, მაგრამ ერთია საცირკო შოუ, მეორე დიდი საშეჯიბრო ატმოსფერო.

ახლა ლია ბენდიანიშვილის თაობაზეც. ანა დოლონაძესთან ერთად ახალგაზრდებში ევროპის ორგზის ჩემპიონი, ხოლო ერთეულებში მესამე პრიზიორი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ბენდიანიშვილი საერთოდ შეეშვა დიდ სპორტს შემდგომი პერსპექტივის დაუნახაობის გამო. უკანასკნელ ხანს მას რამდენჯერმე სთხოვეს დაბრუნება, მაგრამ ამაოდ, ახლა კი მოულოდნელად გაჩნდა შანსი, რომ ის ერთ-ერთმა გერმანულმა კლუბმა მიიწვიოს გასასინჯად და თუ მოეწონებათ, დაიტოვონ კიდეც. თუ ასე მოხდა, მაშინ ლია საქართველოს ნაკრებშიც იასპარეზებს. როგორც ამბობენ, გერმანელების დაინტერესება იქ მომუშავე თენგიზ ხუდოევის დამსახურებაა, რომელიც ბენდიაშვილსაც ავარჯიშებდა, როცა თბილისში საქმიანობდა.

ჩვენთვის უმთავრესი მაინც რუსუდან ხოფერიაა. ის ამჟამად აქ ვარჯიშობს, სეზონის უმთავრესი სტარტებისთვის ემზადება, თვის ბოლოს კი გერმანიაში აპირებს სავარჯიშოდ წასვლას, მაგრამ ფული ჯერაც არ ჩანს. მართალია, დეპარტამენტი კი პირდება საჭირო თანხებს, მაგრამ დაპირება რომ საქმეს არ ნიშნავს, ეს ხოფერიამ გასული წლის ბოლოს იწვნია, როცა დაპირების მიუხედავად მსოფლიოს თასის ეტაპებზე ვერ გაამგზავრეს. რაც შეეხება დოლონაძეში გაცვლილ ორი უახლესი ტიპის ბატუტის თბილისში ჩამოტანას, ბოლო ინფორმაციით, ბატუტები გერმანიიდან წამოვიდა, თუმცა ესეც ვარაუდის დონეზეა. ამ საკითხის გარკვევაც დოლონაძეს ეთხოვა.

**ირაკლი თავაძე**



სიდნეი. ავსტრალია. ადიდასის საერთაშორისო პირველობა.
ტარდება რიბაუნდ ეისზე.
საპრიზო 800 ათასი $

# როცა კერპებსაც სჯობნი

მწვანე კონტინენტის საუკეთესო ჩოგბურთელს, პატრიკ რაფტერს რომ შინ თამაში უჭირს, საიდუმლო არავისთვისაა.

წინა კვირაში, ადელაიდაში რაფტერი მეორე წრეშივე დამარცხდა ჩეხ სლავა დოსედელთან და ჩვეულ წუწუნს მოჰყვა მოტივაციის უქონლობისა და გადაღლილობის შესახებ, არადა, ოქტომბრიდან მოყოლებული სულ მეორე მატჩი გამართა და პიტ სამპრასის ჩამოუსვლელობამაც მშობლიური დიდი სლემის მოგების შანსები კიდევ უფრო გაუზარდა.

სიდნეიში ჩოგბურთის მოყვარულ დიაცთა ფავორიტი პირველ წრეში თავისივე მემკვიდრედ შერაცხულ, 17 წლის ლეიტონ ჰიუიტს გადაეყარა. კერპთან შეხვედრის წინ ნორჩ ავსტრალიელს თურმე გვარიანად უნერვიულია, მაგრამ მატჩი რომ დაიწყო, ამისი აღარაფერი ეტყობოდა — რაფტერი მუდმივად მდევრის როლში გახლდათ და მიუხედავად იმისა, რომ მეტოქის მოწოდებისართმევით 5:6-დან ტაი-ბრეიკს მიატანა, გადამწყვეტი გეიმიცა და მეორე სეტიც პირწმინდად წააგო 6:7 (1:7), 1:6. თანაც თინეიჯერის შესანიშნავ შემოვლებებს ვერაფერი მოუხერხა, ერთხელ კი კორტზე ისე დაენარცხა, მატჩის ბოლომდე იდაყვიდან სისხლი სდიოდა.

„ნამდვილად ფანტასტიკურად ვგრძნობ თავს, პატის დამარცხებაზე ოცნება თუ შემეძლო. თუმცა, ვფიქრობ, ამჟამად იგი საუკეთესო ფორმაში არ არის, ალბათ, ძველი ტრავმა თუ აწუხებს" — განაცხადა მატჩის შემდეგ ჰიუიტმა.

ეს ვარაუდი თავად რაფტერმა უკუაგდო, ფიზიკურად თავს კარგად ვგრძნობ, ეგ არის, თავდაჯერება და მოწოდება მღალატობსო: „ახლა ჩემთვის ყველაზე კარგი იქნება, ამ ხმაურს გავერიდო და საკუთარ თავთან მარტო დავრჩე. მელბურნში რამდენიმე ამისათვის ზედგამოჭრილი ადგილი მეგულება".

რაფტერს არც ჰიუიტის შექება დავიწყებია: „მის ასაკში მე არაფერს წარმოვადგენდი, ერთი ჩვეულებრივი 17 წლის ბიჭი ვიყავი. იგი კი უკვე კარგი ჩოგბურთელია. ამ მხრივ ვერანაირ კონკურენციას ვერ გავუწევ".

რაფტერისგან განსხვავებით, ტურნირზე პირველად განთესილმა ალექს კორეტხამ სეზონი გამარჯვებით დაიწყო. არადა, პირველ წრეში ისევ ძველ ნაცნობს, გერმანელ ჰენდრიკ დრეეკმანს გადაეყარა, სწორედ იმას, ვისთანაც იმავე ტურნირზე და იგივე ეტაპზე შარშან წააგო: „კენჭიყრის შედეგები რომ ვნახე, სიცილი ვერ შევიკავე. განსაცვიფრებელია, ასეთი რამ როგორ განმეორდა".

პირველი სეტის შემდეგ სასაცილო კორეტხას არაფერი ჰქონდა — ძირითად ბადეში საკვალიფიკაციო ტურნირიდან მოხვედრილმა გერმანელმა 6:4 იმარჯვა, მაგრამ მსოფლიოს მესამე ჩოგანმა მერე თამაშს უმატა და გამარჯვებას უპრობლემოდ მიაღწია 4:6, 6:3, 6:3. „სეზონის დასაწყისში წინა წლებში ცუდ ფორმაში ვიყავი, მაგრამ ამჟამად თავს უფრო კარგად, დაჯერებულად ვგრძნობ. შევეცდები, ტურბო ძრავაზე უფრო სწრაფად გადავერთო".

ამის დადასტურება ესპანელს დიდი ხნით არ გადაუდია — 30-გრადუსიან სიცხეში ორ საათიან გარჯას მწვრთნელის მოთხოვნით ნახევარი საათი სირბილიც მოუმატა. მას ხომ ავსტრალიაში შესანიშნავი შანსი ეძლევა მსოფლიოს პირველ ჩოგნობასაც შეწვდეს: „ამაზე ბევრს არ ვფიქრობ. რა თქმა უნდა, თავს არ დავზოგავ, რადგან კლასიფიკაციის სათავეში მოქცევა დაუჯერებელი მიღწევაა ყველასთვის, მაგრამ ყველაფერს დრო გვიჩვენებს".

**პირველი წრე: კარლოს მოია (3, ესპანეთი) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 6:3, 7:6 (7:4); კაროლ კუჩერა (4, სლოვაკეთი) — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი); გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) — გრეგ რუზედსკი (5, ინგლისი) 1:6, 6:3, 6:4; რიჩარდ კრაიჩეკი (6, ჰოლანდია) — ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) 6:4, 4:0 (ტრავმა); ტოდ მარტინი (8, აშშ) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:1, 6:3; ტომას მუსტერი (ავსტრია) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:7 (2:7), 7:5, 6:3.**

მშობლიური სიდნეის ტურნირის მერვედფინალში ჯეისონ სტოლტენბერგს ნაგვიანები შურისგების დღე დაუდგა. 1996 წლის უიმბლდონის ნახევარფინალში, რომელსაც მთელი მისი კარიერის შეცვლა შეეძლო, ავსტრალიელმა მწარე მარცხი იწვნია მომავალ ჩემპიონ რიჩარდ კრაიჩეკთან. მას შემდეგ მეტოქეები ერთმანეთს არსად შეხვედრიან.

„მიუხედავად იმისა, რომ ის უიმბლდონი იმდენი ხნის წინ იყო, პირველად მაინც წინა პირადი შეხვედრა გახსენდება-ხოლმე. ეს კი ძალიან იმედგამაცრუებელი შედეგი იყო ჩემთვის" — აღნიშნა მატჩის წინ ავსტრალიელმა.

„უაით სიტის" სტადიონზე, სადაც სტოლტენბერგი ჯერ კიდევ პატარაობაში ვარჯიშობდა, მატჩი მასპინძლის სრული უპირატესობით წარიმართა. ჰოლანდიელს ამჯერად არც ტყვიასავით მოწოდებამ უშველა და არც ბადესთან ხშირმა ვოიაჟებმა — ოზმა 6:3, 6:4 მოიგო: „საუკეთესო ათეულელთან თითოეული გამარჯვება სასიამოვნოა, ეს კი ორმაგად გამიხარდა. კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩავატარე, ყველაფერი გამომდიოდა".

**მეორე წრე: ლეიტონ ჰიუიტი — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:4, 6:2; ალექს კორეტხა — მარკ როსე (შვეიცარია) 4:6, 6:3, 7:6 (7:2); ტომას მუსტერი — კარლოს მოია 7:6 (7:4), 7:5; კაროლ კუჩერა — სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) 6:4, 6:0; გუსტავო კუერტენი — ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) 6:4, 6:0**

სიდნეი იმ იშვიათ მცირე ტურნირთაგანია, კაცებთან ერთად ქალებიც რომ ასპარეზობენ, თანაც აქაც მუდმივად უძლიერესი შემადგენლობა იყრის თავს.

პირველ წრეში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, მეორეში კი, როდესაც ასპარეზობაში უძლიერესნიც ჩაერთვნენ, ერთბაშად რამდენიმე საინტერესო მატჩი გაიმართა.

დიდი გერმანელი შტეფი გრაფი, რომელიც ვინუს და სერენა უილიამსებს გასული კვირის საჩვენებელ პირველობაზე გადაეყარა, კუპრივით შავ დებს ვერც ამჯერად ასცდა. პირველი გრაფის გზაზე ამჯერადაც სერენა აღმოჩნდა. მატჩი ორსაათნახევარზე მეტს გრძელდებოდა და მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნის ძნელი გამარჯვებით დასრულდა 6:2, 3:6, 7:5.

„ჩოგბურთში ბოლო ხანებში განსხვავებული თაობა მოვიდა. ვინუსს და სერენას თუ შეხედავთ, ისინი ფიზიკურად გაცილებით ძლიერები არიან — აღნიშნა მატჩის შემდეგ შტეფიმ, მერე კი ორი დაც შეადარა ერთმანეთს — ვინუსი ოდნავ უფრო აზრიანად, უფრო ფრთხილად თამაშობს. ორივეს შესანიშნავი მოწოდება და უძლიერესი დარტყმები აქვთ, მაგრამ ვინუსი უფრო სტაბილურიცაა".

თუმცა გრაფს, რომელიც წლეულს დიდი სლემის ტურნირებზე აპირებს ყურადღების გამახვილებას, ვერც ვინუსმა აჯობა — გუშინ მეოთხედფინალში გერმანელმა 4:6, 6:2, 6:4 იმარჯვა.

წააგო ახალი თაობის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა, ანა კურნიკოვამაც. 17 წლის რუსმა წინა წრეში სილვია ფარინას 23 ორმაგი შეცდომის მიუხედავად აჯობა, მაგრამ ბელგიელ დომინიკ ვან რუსტთან (8) 18 ორმაგის გამო მწარედ დაისაჯა 1:6, 2:6. „მარშან მიღებული ტრავმის შემდეგ მოწოდება დიდ პრობლემებს მიჩენს. ძველი რიტმის დაბრუნებას ვერაფრით ვახერხებ, არადა, ამაზე ბევრს ვმუშაობ" — აღნიშნა რუსმა, რომელსაც ბოლო ხუთ მატჩში 93 (!) ორმაგი დაუგროვდა.



REUTERS სიდნეიდან

მარტინა ჰინგისი და ანა კურნიკოვა ავსტრალიის ღია პირველობაზე წყვილებში ერთად აპირებენ თამაშს

**მერვედფინალი: ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) — მერი ჯო ფერნანდესი (აშშ) 6:4, 7:6 (8:6); მარტინა ჰინგისი (2, შვეიცარია) — ალისია მოლიკი (ავსტრალია) 6:1, 6:2; არანჩა სანჩეს ვიკარიო (3, ესპანეთი) — ანკე ჰუბერი (გერმანია) 2:6, 6:3, 6:2; ბარბარა შეტი (ავსტრია) — კონჩიტა მარტინესი (5, ესპანეთი) 6:3, 7:6 (9:7); პატი შნიდერი (7, შვეიცარია) — კარინა ჰაბსუდოვა (სლოვაკეთი) 6:4, 4:6, 6:4**

ოკლენდი. ახალი ზელანდია. ჰაინეკენის ღია პირველობა.
ტარდება ჰარდზე.
საპრიზო 345 ათასი $

ოკლენდის არცთუ წარმომადგენლობითი ტურნირი ყურადღების მხოლოდ იმით იმსახურებს, რომ პირველივე წრეში აქედან მსოფლიოს მეორე ჩოგანი მარსელო რიოსი გავარდა. თანაც ჩილელს, რომელიც აქამდე ავსტრალიას ღია პირველობაზე გამარჯვების მთავარ პრეტენდენტადაც ითვლებოდა, ანდრეი პაველთან მატჩის დასრულებაში ძველმა კუნთის ტრავმამ შეუშალა ხელი.

„კორტზე ბოლომდე საბრძოლველად გავედი, თამაშის გაგრძელება კი შემეძლო, მაგრამ მოძრაობა აშკარად მიჭირდა. ტრავმის სიმძიმეზე წარმოდგენა არა მაქვს. ახლა მელბურნში მივემგზავრები და იმის იმედს ვიტოვებ, რომ მალე მოვმჯობინდები" — განაცხადა ჩილელმა, რომელმაც უარი გაგრძელებაზე 7:5, 0:2-ზე განაცხადა.

თუმცა რიოსის გადაწყვეტილებამ ზოგიერთები გაანაწყენა კიდეც. პაველის თანამემამულემ, რუმინელმა ადრიან ვოინეამ მას განზრახ წაგებასა და თაღლითობაში დასდო ბრალი, ტრავმა თავად გამოიგონაო.

**ავთანდილ სვანიძე**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 16 იანვარი | | | |
| ჩელსი — ქოვენთრი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,1 | 2,7 |
| დერბი — ბლექბერნი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ლიდსი — მიდლსბრო | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| ლესტერი — მანჩესტერი | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| ლივერპული — საუთჰემპტონი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,1 | 2,7 |
| ნოტინგემი — არსენალი | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| ტოტენჰემი — უიმბლდონი | 2,0 | 3,3 | 3,0 |
| ვესტ ჰემი — შეფილდი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 17 იანვარი | | | |
| ჩარლტონი — ნიუკასლი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 18 იანვარი | | | |
| ასტონ ვილა — ევერტონი | 1,5 | 3,4 | 5,6 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 16 იანვარი | | | |
| ბარნსლი — ბირმინგემი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ბრისტოლი — ტრანმერი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ბერი — ქუინზ პარკი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| კრისტალ პალასი — სტოკპორტი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| გრიმსბი — ოქსფორდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 2,9 | 2,5 |
| ნორვიჩი — ვესტ ბრომვიჩი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| პორტ ვეილი — სვინდონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| პორტსმუთი — ჰადერსფილდი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| შეფილდი — ბოლტონი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ვულვერჰემპტონი — უოტფორდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 17 იანვარი | | | |
| სანდერლენდი — იფსვიჩი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 18 იანვარი | | | |
| ბრედფორდი — ქრიუ | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XXI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 16 იანვარი | | | |
| ნანტი — ტულუზი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ლანსი — მონაკო | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ოსერი — ლორიანი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ლიონი — სოშო | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ლე ავრი — ბასტია | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| მონპელიე — ბორდო | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| რენი — მარსელი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 17 იანვარი | | | |
| მეცი — სტრასბური | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| პსჟ — ნანსი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XVII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 17 იანვარი | | | |
| ბარი — სამპდორია | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ბოლონია — ინტერი | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| ფიორენტინა — კალიარი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| მილანი — პერუჯა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| პარმა — ლაციო | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| რომა — ვიჩენცა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| სალერნიტანა — პიაჩენცა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| უდინეზე — ემპოლი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| ვენეცია — იუვენტუსი | 3,8 | 2,8 | 1,9 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 16 იანვარი | | | |
| ნაპოლი — ვერონა | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| 17 იანვარი | | | |
| ატალანტა — ტრევიზო | 2,0 | 2,6 | 3,8 |
| კიევო — მონცა | 2,2 | 2,6 | 3,3 |
| კოზენცა — ლუკეზე | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| ჯენოა — ჩეზენა | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| პესკარა — ლეჩე | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| რავენა — კრემონეზე | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| რეჯანა — ბრეშა | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| ტერნანა — რეჯინა | 2,4 | 2,6 | 2,9 |
| ტორინო — ფ. ანდრია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 16 იანვარი | | | |
| სელტა — მალიორკა | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 17 იანვარი | | | |
| ალავესი — ბილბაო | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ბეტისი — ბარსელონა | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| სარაგოსა — ვალიადოლიდი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| რასინგი — ვილიარეალი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| ესტრემადურა — დეპორტივო | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| რეალი — ატლეტიკო | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ვალენსია — ტენერიფე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| სალამანკა — ოვიედო | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ესპანიოლი — სოსიედადი | 2,2 | 2,8 | 3,1 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 16 იანვარი | | | |
| რაიო — ლეგანესი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 2,0 | 2,9 | 2,5 |
| ლოგრონიესი — მერიდა | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| ლეიდა — რეკრეატივო | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 17 იანვარი | | | |
| მალაგა — ტოლედო ($15^{00}$) | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ეიბარი — ალბასეტე | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| სპორტინგი — ბარსელონა B | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ლას პალმასი — ერკულესი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,1 | 2,7 |
| მალიორკა B — ოსასუნა | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| ატლეტიკო B — ბადახოსი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| ნუმანსია — ორენსე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| კომპოსტელა — სევილია | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 15 იანვარი | | | |
| სპორტინგი — სეტუბალი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 16 იანვარი | | | |
| აკადემიკა — შავეში | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ამადორა — ბენფიკა | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| 17 იანვარი | | | |
| ბეირა მარი — ბრაგა | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ფარენსე — სალგეირუში | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| მარიტიმუ — ლეირა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| გიმარაეში — ბოავიშტა | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ალვერკა — კამპომაიორენსე | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 18 იანვარი | | | |
| რიუ ავე — პორტუ | 5,6 | 3,0 | 1,6 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 15 იანვარი | | | |
| მუსკრონი — ანდერლეხტი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 16 იანვარი | | | |
| გენკი — ოსტენდე | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| გენტი — სტანდარდი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ვესტერლო — ლომელი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ბევერენი — ჰარელბეკი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| შარლერუა — ლოკერენი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 17 იანვარი | | | |
| ბრიუგე — სტ. ტრუიდენი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| კორტრაიკი — ლიერსი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ეკერენი — აალსტი | 1,7 | 2,9 | 5,0 |

### ჰოკეი. NHL

| | | | |
|---|---|---|---|
| 15 იანვარი | | | |
| ბუფალო — ბოსტონი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ნიუ ჯერსი — ტამპა ბეი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| რეინჯერსი — ჩიკაგო | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| ვაშინგტონი — მონრეალი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ნეშვილი — ფინიქსი | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| ანაჰაიმი — დალასი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| სან ხოსე — პიტსბურგი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 16 იანვარი | | | |
| ბოსტონი — ტამპა ბეი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| მონრეალი — რეინჯერსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ოტავა — ბუფალო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ფილადელფია — ტორონტო | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| კაროლინა — ვაშინგტონი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ფლორიდა — აილენდერსი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| კოლორადო — სტ. ლუისი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ვანკუვერი — დეტროიტი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| ლოს ანჯელესი — პიტსბურგი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| სან ხოსე — კალგარი | 1,6 | 4,4 | 1,8 |
| 17 იანვარი | | | |
| ჩიკაგო — ფინიქსი | 2,7 | 4,4 | 1,6 |
| ედმონტონი — დეტროიტი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 18 იანვარი | | | |
| ბოსტონი — ნეშვილი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| მონრეალი — ვაშინგტონი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ოტავა — ფილადელფია | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| კაროლინა — ტორონტო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ფლორიდა — ბუფალო | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| დალასი — ვანკუვერი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| ანაჰაიმი — პიტსბურგი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| სან ხოსე — ნიუ ჯერსი | 2,4 | 4,4 | 1,7 |

### ჩემპიონთა თასი

| | |
|---|---|
| ინტერი | 2,5 |
| იუვენტუსი | 3,0 |
| მანჩესტერი | 3,0 |
| ბაიერნი | 5,0 |
| რეალი | 6,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 10,0 |
| დინამო | 10,0 |
| ოლიმპიაკოსი | 50,0 |

### თასების თასი

| | |
|---|---|
| ლაციო | 2,0 |
| ჩელსი | 2,0 |
| მალიორკა | 3,0 |
| ლოკომოტივი | 8,0 |
| მაკაბი | 15,0 |
| ვარტექსი | 50,0 |
| ვალერენგა | 50,0 |
| პანიონისი | 50,0 |

### უეფას თასი

| | |
|---|---|
| რომა | 3,0 |
| პარმა | 3,0 |
| მარსელი | 4,0 |
| ბორდო | 5,0 |
| სელტა | 5,0 |
| ატლეტიკო | 6,0 |
| ბოლონია | 10,0 |
| ლიონი | 10,0 |

### ინგლისი

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 1,8 |
| ჩელსი | 1,8 |
| ასტონ ვილა | 4,0 |
| არსენალი | 5,0 |
| ლივერპული | 5,0 |
| ლიდსი | 8,0 |

### გერმანია

| | |
|---|---|
| ბაიერნი | 1,01 |
| ლევერკუზენი | 8,0 |

### იტალია

| | |
|---|---|
| ინტერი | 1,9 |
| ფიორენტინა | 2,0 |
| პარმა | 4,0 |
| მილანი | 5,0 |
| იუვენტუსი | 6,0 |
| ლაციო | 6,0 |
| რომა | 8,0 |

### ესპანეთი

| | |
|---|---|
| მალიორკა | 1,8 |
| რეალი | 2,0 |
| ბარსელონა | 2,5 |
| ვალენსია | 5,0 |
| სელტა | 5,0 |
| ატლეტიკო | 5,0 |

### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| მარსელი | 1,3 |
| ბორდო | 2,5 |

### პორტუგალია

| | |
|---|---|
| პორტუ | 1,3 |
| ბენფიკა | 2,5 |
| სპორტინგი | 6,0 |
| ბოავიშტა | 6,0 |

### ჰოლანდია

| | |
|---|---|
| ფეიენოორდი | 1,5 |
| აიაქსი | 2,2 |
| ვიტესი | 5,0 |
| ეინდჰოვენი | 6,0 |

### ბელგია

| | |
|---|---|
| ბრიუგე | 1,1 |
| გენკი | 3,5 |
| სტანდარდი | 6,0 |
| ანდერლეხტი | 8,0 |

### პოლონეთი

| | |
|---|---|
| ვისლა | 1,1 |
| ლეგია | 4,0 |
| ლეხი | 8,0 |
| გურნიკი | 8,0 |
| ვიძევი | 8,0 |

### თურქეთი

| | |
|---|---|
| გალათასარაი | 1,4 |
| ფენერბაჰჩე | 2,5 |
| ბეშიქთაში | 2,5 |
| ტრაბზონი | 5,0 |

### შოტლანდია

| | |
|---|---|
| რეინჯერსი | 1,2 |
| სელტიკი | 3,0 |
| კილმარნოკი | 6,0 |

### ავსტრია

| | |
|---|---|
| შტურმი | 1,7 |
| რაპიდი | 2,0 |
| გრაცერი | 4,0 |
| ლინცერი | 8,0 |

### შვეიცარია

| | |
|---|---|
| სერვეტი | 1,8 |
| გრასჰოპერი | 1,8 |
| ციურიხი | 2,5 |
| ლოზანა | 4,0 |

ნებისმიერი კონკრეტული გუნდი, რომელიც სიაში მოხსენიებული არ არის — 10,0

**ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე**

**თბილისში** — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან; №2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; №67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი.

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში;

**ბათუმში** — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

**რუსთავში** — კინოთეატრი „რუსთაველი"; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტვინის შერყევა სასარგებლოა

13 იანვარი

**ვაშინგტონი — ფილადელფია 0:3**

0:1 0:0 0:2

0:1 ლინდროსი 18'01 (23); 0:2 დეჟარდენი 45'11 (7); 0:3 ლეკლერი 59'27 (26)

იქნებ პარადოქსადაც გეჩვენოთ, მაგრამ 28 დეკემბერს სან ხოსესთან შეხვედრისას ტვინის შერყევამ ერიკ ლინდროსზე დადებითად იმოქმედა. ფილადელფიელთა კაპიტანმა ერთი კვირა დაისვენა და გაორმაგებული ენერგიით შეუდგა საქმეს. ოთხ მატჩში ლინდროსმა 11 (4+7) ქულა დააგროვა და ამჟამად ბომბარდირთა დავაში მის არყოფნაში დაწინაურებულ პოლ კარიასგან სულ ერთი ქულაღა აშორებს. თუმც ერიკი მისიანების ბოლოდროინდელ მიღწევებს დაცვისა და მეკარეთა კარგ თამაშს მიაწერს. თავად განსაჯეთ, ბოლო ოთხ მატჩში „მფრინავებს" ერთი გოლიც არ გაუშვიათ (აქედან სამი შატაუტი ჯონ ვანბისბრუკის ანგარიშზეა), რაც კლუბის რეკორდის გამეორებაა. ფილადელფიას 10 დეკემბრიდან არ წაუგია, ეს კი 15 მატჩია, რაც თავის მხრივ სეზონის უმაღლესი მიღწევის გამეორებაა. ამგვარი სერია დალასს 6 იანვარს შეუწყდა. ლინდროსის მუდმივი პარტნიორი ჯონ ლეკლერი კიდევ უფრო მყარად ლიდერობს სნაიპერთა შორის.



REUTERS

ვაშინგტონელთა მეკარე ოლაფ კოლციგი ფილადელფიელ ვალერი ზელეპუკინს გაუბრაზდა

**ბუფალო — სენტ ლუისი 2:4**

1:0 0:2 1:2

1:0 პეკა 5'04 (16); 1:1 პრონგერი 25'05 (8); 1:2 პრონგერი 39'41 (9); 1:3 იეიკი 44'59 (4); 1:4 ისტვუდი 46'39 (6); 2:4 ვარადა 54'18 (6)

ნჰლ-ის ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა ახალგაზრდა ჰოკეისტმა, სენტ ლუისის მცველმა კრის პრონგერმა თანდათან შეიგნო, რომ განსაკუთრებული აღიარებისთვის მარტო პირადი მოვალეობების შესრულება არ კმარა. იგი შეტევას უნდა დაეხმაროს და უფრო მეტი გოლი გაიტანოს. დომინიკ ჰაშეკის კარში გატანილი ორი შაიბა წლეულს მისი მეოთხე დუბლია.

**ფლორიდა — ტორონტო 3:3**

0:1 0:1 3:1 0:0

0:1 ბერეზინი 16'38 (13); 0:2 უორინერი 35'41 (4); 0:3 სალივანი 42'06 (3); 1:3 უიტნი 44'01 (13); 2:3 შვეჰლა 48'11 (5); 3:3 ნიდერმაიერი 54'53 (12)

ფლორიდელთა კაპიტანმა სკოტ მელანბიმ (3 პასი) მესამე პერიოდში სული ჩაუდგა და „პანტერების" იერიშებს ფლორიდელებმა წაუგებელი სერია 5 მატჩამდე გაზარდეს.

**ფინიქსი — პიტსბურგი 5:3**

0:0 1:2 4:1

0:1 კოვალიოვი 20'46 (10); 1:1 ლეტოვსკი 23'13 (1); 1:2 ბარნსი 31'02 (15); 2:2 ტოკეტი 45'10 (13); 3:2 რენიკი 45'16 (16); 4:2 სტეპლტონი 48'15 (4); 4:3 იაგრი 49'09 (15); 5:3 მიურეი 53'32 (1)

თამაშის ბედი 46-ე წუთზე გადაწყდა, როცა 6 (!) წამის განმავლობაში ტოკეტმა და რენიკმა ორი შაიბა შეაგდეს (საკლუბო რეკორდს ეს ორი წამით ჩამორჩება). ამით შეწყდა პიტსბურგის ექვსმატჩიანი მოგებების სერია.

**სან ხოსე — დალასი 1:2**

0:1 0:1 1:0

0:1 მოდანი 0'46 (14); 0:2 ზუბოვი 21'51 (6); 1:2 მატო 42'10 (2)

**ანაჰაიმი — კალგარი 1:2**

0:1 1:0 0:1

0:1 უიმერი 10'40 (4); 1:1 ოლაუსონი 29'10 (8); 1:2 იგინლა 48'38 (16)

ანაჰაიმის ლიდერი პოლ კარია (1 პასი და ბოლო 8 მატჩში 15 (3+12)ქულა) შინ ჩატარებულ უკანასკნელ 17 მატჩში უქულოდ ერთხელაც არ დარჩენილა.

**რეინჯერსი — აილენდერსი 4:3**

1:1 0:1 2:1 1:0

0:1 ლოურენსი 0'21 (4); 1:1 სამუელსონი 3'05 (3); 1:2 ჩერკავსკი 26'44 (11); 2:2 მაკლინი 51'48 (15); 3:2 ნედვედი 52'25 (9); 3:3 იუნსონი 57'08 (7); 4:3 გრეივსი 63'08 (9)

## სატურნირო ვითარება

| ჩრდილო-აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 42 | 24 | 3 | 15 | 136:120 | 51 |
| ოტავა | 40 | 22 | 5 | 13 | 124:91 | 49 |
| ბუფალო | 39 | 21 | 6 | 12 | 111:82 | 48 |
| ბოსტონი | 39 | 19 | 6 | 14 | 104:89 | 44 |
| მონრეალი | 42 | 15 | 7 | 20 | 96:113 | 37 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 41 | 18 | 7 | 16 | 106:101 | 43 |
| ფლორიდა | 39 | 14 | 11 | 14 | 100:105 | 39 |
| ვაშინგტონი | 39 | 15 | 3 | 21 | 92:100 | 33 |
| ტამპა | 41 | 9 | 3 | 29 | 86:146 | 21 |

| ატლანტა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 41 | 22 | 10 | 9 | 123:82 | 54 |
| ნიუ ჯერსი | 39 | 22 | 5 | 12 | 116:104 | 49 |
| პიტსბურგი | 37 | 19 | 7 | 11 | 110:99 | 45 |
| რეინჯერსი | 41 | 17 | 7 | 17 | 114:114 | 41 |
| აილენდერსი | 43 | 13 | 3 | 27 | 99:128 | 29 |
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 41 | 21 | 2 | 18 | 125:111 | 44 |
| სენტ ლუისი | 39 | 16 | 9 | 14 | 107:98 | 41 |
| ნეშვილი | 40 | 14 | 4 | 22 | 94:129 | 32 |
| ჩიკაგო | 42 | 11 | 6 | 25 | 90:136 | 28 |

| წყნარი ოკეანე | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 40 | 26 | 7 | 7 | 117:77 | 59 |
| ფინიქსი | 38 | 23 | 5 | 10 | 105:79 | 51 |
| ანაჰაიმი | 41 | 16 | 8 | 17 | 101:95 | 40 |
| სან ხოსე | 41 | 13 | 10 | 18 | 92:97 | 36 |
| ლოს ანჯელესი | 41 | 15 | 4 | 22 | 96:108 | 34 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| კოლორადო | 42 | 19 | 4 | 19 | 103:107 | 42 |
| ედმონტონი | 41 | 16 | 6 | 19 | 116:111 | 38 |
| ვანკუვერი | 41 | 14 | 5 | 22 | 106:123 | 33 |
| კალგარი | 42 | 14 | 3 | 25 | 104:128 | 31 |

*ბომბარდირები: კარია (ანაჰაიმი) 56 (17+39); ლინდროსი 55 (23+32); ლეკლერი (ორივე ფილადელფია) 52 (26+26); იაგრი (პიტსბურგი) 51 (15+36); იაშინი (ოტავა) 49 (18+31); ფორსბერგი (კოლორადო) 49 (12+37); სელიანე (ანაჰაიმი) 45 (21+24); დემიტრა (სენტ ლუისი) 44 (21+23); ფლერი (კალგარი) 44 (19+25); აიზერმანი (დეტროიტი) 44 (18+26); ბრინდამორი (ფილადელფია) 44 (16+28); სუნდინი (ტორონტო) 44 (14+30)*

# All-star game
# გვინდა მსოფლიო ომი?

**კარგა ხანს გასტანა გამოკითხვამ — ვინ ითამაშოს ვარსკვლავთა მატჩში? და აი, ლიგამ შეაჯამა შედეგები, რომელიც ერთობ მოულოდნელი აღმოჩნდა. მთელი გამოკითხვის მანძილზე დეტროიტელები — კრის ოსგუდი და სერგეი ფიოდოროვი ლიდერობდნენ, მაგრამ ბოლო მომენტში არათუ დათმეს პოზიციები, არამედ საერთოდ ვერ მოხვდნენ თავიანთი გუნდების შემადგენლობაში**

ჩრდილო ამერიკა

მეკარეები: ***მარტინ ბროდო*** (ნიუ ჯერსი) 167255; კერტის ჯოზეფი (ტორონტო) 141398; კრის ოსგუდი (დეტროიტი) 132588; პატრიკ რუა (კოლორადო) 95407; ედ ბელფორი (დალასი, ყველა კანადა) 82243.

მცველები: ***რეი ბურკი*** (ბოსტონი) 204467; ***ელ მაკინისი*** (სენტ ლუისი, ორივე კანადა) 158942; კრის ჩელიოსი (ჩიკაგო, აშშ) 151041; ლარი მერფი (დეტროიტი) 120375; სკოტ ნიდერმაიერი (ნიუჯერსი) 118984; კრის პრონგერი (სენტ ლუისი) 109481; რობ ბლეიკი (ლოს ანჯელესი, ყველა კანადა) 105060.

ცენტრფორვარდები: ***სტივ აიზერმანი*** (დეტროიტი) 148345; ერიკ ლინდროსი (ფილადელფია) 123888; უეინ გრეცკი (რეინჯერსი) 103063; ჯო საკიკი (კოლორადო, ყველა კანადა) 73957; მაიკ მოდანო (დალასი, აშშ) 51618.

გარემარბები: ***ბრენდან შენაჰანი*** (დეტროიტი) 252955; ***პოლ კარია*** (ანაჰაიმი, ორივე კანადა) 248494; ჯონ ლეკლერი (ფილადელფია) 155088; ბრეტ ჰალი (დალასი) 115955; კეიტ ტკაჩუკი (ფინიქსი) 107343; ბილ გერინი (ედმონტონი, ყველა აშშ) 86312; ტეო ფლერი (კალგარი) 85992; მარკ რეკი (მონრეალი, ორივე კანადა) 80762.

მსოფლიო

მეკარეები: ***დომინიკ ჰაშეკი*** (ბუფალო, ჩეხეთი) 409024; ოლაფ კოლციგი (ვაშინგტონი,გერმანია) 89293; ნიკოლაი ხაბიბულინი (ფინიქსი, რუსეთი) 87406; არტურს ირბე (კაროლინა, ლატვია) 79037; ტომი სალო (აილენდერსი, შვედეთი) 56096.

მცველები: ***ნიკლას ლიდსტრიომი*** (დეტროიტი, შვედეთი) 288729; ***უვე კრუპი*** (დეტროიტი, გერმანია) 193661; სერგეი ზუბოვი (დალასი, რუსეთი) 146680; სანდის ოზოლინში (კოლორადო, ლატვია) 131906; დარიუს კასპარაიტისი (პიტსბურგი, რუსეთი) 107131; რომან ჰამრლიკი (ედმონტონი, ჩეხეთი) 89301; ალექსეი ჟიტნიკი (ბუფალო, რუსეთი) 86314.

ცენტრები: ***პეტერ ფორსბერგი*** (კოლორადო, შვედეთი) 168242; სერგეი ფიოდოროვი (დეტროიტი, რუსეთი) 162827; მატს სუნდინი (ტორონტო, შვედეთი) 100394; ალექსეი იაშინი (ოტავა) 44728; იგორ ლარიონოვი (დეტროიტი, ორივე რუსეთი) 42770; საკუ კოივუ (მონრეალი, ფინეთი) 42663; ბობი ჰოლიკი (ნიუჯერსი, ჩეხეთი) 42569.

გარემარბები: ***იარომირ იაგრი*** (პიტსბურგი, ჩეხეთი) 395683; ***ტეემუ სელიანე*** (ანაჰაიმი, ფინეთი) 281811; პაველ ბურე (ვანკუვერი, რუსეთი) 94615; პეტერ ბონდრა (ვაშინგტონი, სლოვაკეთი) 88552; სერგეი სამსონოვი (ბოსტონი, რუსეთი) 77606; მიკაელ რენბერგი (ფილადელფია) 67570; დანიელ ალფრედსონი (ოტავა, შვედეთი) 59541.

ამგვარად, გამოვლინდა გუნდების სასტარტო ექვსეულები:

*ჩრდილო ამერიკის ნაკრები: მარტინ ბროდო (მეოთხედ მონაწილეობს* ***„All-star game"****-ში); რეი ბურკი (16) — ელ მაკინისი (10); ბრენდან შენაჰანი (5) — სტივ აიზერმანი (9) — პოლ კარია (3)*

*მსოფლიოს ნაკრები: დომინიკ ჰაშეკი (5); ნიკლას ლიდსტრიომი (3) — უვე კრუპი (2); იარომირ იაგრი (5) — პეტერ ფორსბერგი (3) — ტეემუ სელიანე (6)*

დანარჩენი მოთამაშეები კი, ტრადიციულად, გენერალურ მენეჯერებს უნდა ამოერჩიათ. მათი მთავარი კრიტერიუმი კი ის გახლავთ, რომ მატჩში ლიგის ყველა კლუბი ერთი მოთამაშით მაინც იყოს წარმოდგენილი. ამიტომაც მათი არჩევანი არ დაემთხვა გულშემატკივართა სიმპათიებს. ამის თვალნათელი მაგალითი სანხოსელი მარკო შტურმის, ნეშვილელი სერგეი კრივოკრასოვის, ან თუნდაც ვაშინგტონელი პეტერ ბონდრას (იგი წლეულს სუსტად თამაშობს) შემადგენლობაში მოხვედრაა.

სხვათა შორის, მსოფლიოს ნაკრებში მენეჯერთა მიერ არჩეული 18 ჰოკეისტისგან ზუსტად ნახევარი პირველად მიიღებს მონაწილეობას ვარსკვლავთა შოუში. ზემოთ ნახსენებ შტურმისა და კრივოკრასოვის გარდა ესენი არიან: მცველები — ალექსეი ჟიტნიკი, კენი იუნსონი (აილენდერსი, შვედეთი) და ტეპო ნუმინენი; ცენტრფორვარდები — მარტინ სტრაკა (პიტსბურგი, ჩეხეთი) და ვიქტორ კოზლოვი (ფლორიდა, რუსეთი); გარემარბები — პავოლ დემიტრა (სენტ ლუისი, სლოვაკეთი) და მარკუს ნესლუნდი (ვანკუვერი, შვედეთი). მენეჯერებმა აგრეთვე ირჩიეს: მეკარეები — ნიკოლაი ხაბიბულინი (2) და არტურ ირბე (2); მცველები — სერგეი ზუბოვი (2), რომან ჰამრლიკი (2); ცენტრფორვარდები — ალექსი იაშინი (2), ბობი ჰოლიკი (2), მატს სუნდინი (4); გარემარბები — დმიტრი ხრისტიჩი (ბოსტონი, უკრაინა, 2), ზემოთნახსენები პეტერ ბონდრა, რომელიც მეხუთედ ითამაშებს ვარსკვლავთა მატჩში.

რაც შეეხება ჩრდილო ამერიკის ნაკრებს, იქ კარგად ცნობილმა ოსტატებმა მოიყარეს თავი „დიადის" — უეინ გრეცკის მეთაურობით, რომელიც მეთვრამეტედ იასპარეზებს ამ მატჩში.

მენეჯერთა აღიარება ხვდათ წილად მეკარეებს — ედ ბელფორს (5) და კერტის ჯოზეფს (4); მცველებს — რობ ბლეიკს (2), კრის ჩელიოსს (10), ლარი მერფის (3), სკოტ სტივენსს (10); ცენტრებს — ერიკ ლინდროსს (1), ჯერემი რენიკს (ფინიქსი, აშშ, 5), მაიკ მოდანოს (3), კეიტ პრიმოს (კაროლინა, კანადა, 1); გარემარბებს — მარკ რეკის (6), ტეო ფლერის (6), ჯონ ლეკლერს (4), კეიტ ტკაჩუკს (3), ტონი ამონტეს (3) და უენდელ კლარკს (ტამპა, კანადა, 2).

მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ფორმით ჩრდილო ამერიკა — მსოფლიოს ნაკრების შეხვედრა მხოლოდ მეორედ ეწყობა, სპეციალისტები უკვე უკმაყოფილონი არიან. მათი აზრით, შარშან ეს ბრწყინვალე იდეა იყო, ევროპელთა და ჩრდილოამერიკელთა დაპირისპირება ნაგანოს ოლიმპიადაზე ნჰლ-ში მოთამაშეთა მონაწილეობის შესანიშნავი პრელუდია და რეკლამა გახდა, მაგრამ ოლიმპიადა ისტორიას ჩაბარდა და მასთან ერთად კონტინენტთა ორთაბრძოლამ დაკარგა თავისი მიმზიდველობა.

გარდა ამისა, ოლ სტარს მიღმა დარჩნენ ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან: მარკ მესიე, როდ ბრინდამორი, ჯო საკიკი, ბრეტ ჰალი და ბევრი სხვა. შოუ ძველი პრინციპით რომ ჩატარებულიყო (აღმოსავლეთ კონფერენცია დასავლეთის წინააღმდეგ), ისინი უთუოდ მოხვდებოდნენ შემადგენლობაში. ვიმეორებთ, რომ ეს ოკეანისგაღმელ სპეციალისტთა აზრია და მათ იქნებ პატრიოტიზმიც ალაპარაკებდეთ (დააკვირდით, რომელ ქვეყნებს წარმოადგენენ ზემოთდასახელებული ჰოკეისტები), მაგრამ სიმართლე მაინც არის მათ სიტყვებში. იქნებ მართლაც სჯობდეს, ძველ პრინციპს დაუბრუნდნენ, მსოფლიოსა და ჩრდილო ამერიკის დაპირისპირება კი ოთხ წელიწადში ერთხელ, ოლიმპიურ სეზონებში მოხდეს. თუმც ეს თავად უკეთ უწყიან, მით უმეტეს, რომ მომავალ ოლიმპიადაზე ლიგის მონაწილეობა-არმონაწილეობის საკითხი ჯერაც არ გადაწყვეტილა.

**სამველ ლარიბიანი**



# ყინული მართლაც დაიძრა

25-31 **იანვარს** პრაღაში, ფიგურულად მოსრიალეთა ევროპის ჩემპიონატზე ორი ჩვენებური — ვახტანგ მურვანიძე და სალომე ჩიგოგიძე გამოვა. საჩემპიონატო სამზადისზე გვესაუბრება თბილისის საციგურაო სკოლის დირექტორი **ირაკლი ჯაფარიძე.**

— ქართველი მოციგურავენი მეშვიდედ ცდიან ძალას ევროპულ სარბიელზე დამოუკიდებელი ქვეყნის სახელით. 1993-95 წლებში კონტინენტის პირველობაზე ბესო ცინცაძემ იასპარეზა, მის შემდეგ კი, ასევე ზედიზედ სამჯერ, ვახტანგ მურვანიძემ. ასე რომ, ვაკუუმი, ფაქტობრივად, არ გვქონია და მე თუ მკითხავთ, არცთუ ისე ცუდად გამოვდიოდით — ცინცაძის საუკეთესო შედეგი მე-15 ადგილია, მურვანიძემ კი შარშანწინ მე-20 ადგილი დაიკავა. არადა, იგი ახლა 19 წლისაა, ეს კი ორი წლის წინ იყო.

როგორც ხედავთ, მურვანიძეს კონტინენტის პირველობაზე ასპარეზობის საკმაო გამოცდილება აქვს, ზოლო ჩიგოგიძე მეორედ ისრიალებს ამ რანგის ყინულზე. ვინაიდან ჩვენი დარბაზი ძალიან პატარაა, ამიტომ ამჟამად ორივე მოსკოვში ემზადება და იქიდანვე ეწვევიან პრაღას.

**— გეგმები როგორი გაქვთ?**

— მურვანიძის მეხუთე ადგილი ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე გარკვეულ იმედს გვისახავს. მან აშკარად მოუმატა — აიმაღლა კლასი, ოსტატობა, დახვეწა ილეთები და ახლა შარშანდელთან შედარებით გაცილებით რთული პროგრამით ასპარეზობს. თუ რაიმე გაუთვალისწინებელმა დაბრკოლებამ არ შეუშალა ხელი, ათეულში უნდა მოხვდეს. რაც შეეხება ჩიგოგიძეს, თუ ფინალში ანუ 24 საუკეთესოს შეჯიბრში ისრიალებს, წარმატებად ჩავუთვლი.

**— ბესო ცინცაძეახსენეთ. მას კონტრაქტი უმთავრდებოდა პროფესიულ დასთან.**

— დიახ, ბესოს მართლაც დაუმთავრდა პროფესიული კონტრაქტი, სამოყვარულო სპორტს დაუბრუნდა და დიდი მონდომებითაც ემზადება 2002 წლის სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადისთვის. ეს მისი ოცნებაა, რადგან გადაწყვიტა, ოლიმპიადის შემდეგ სპორტიდან წავიდეს. ბესო ამერიკაშივე დარჩა სავარჯიშოდ და მწვრთნელიც იქაური ჰყავს. სამივე მათგანის საზღვარგარეთ ვარჯიშისა და ცხოვრებისთვის საჭირო თანხებს საერთაშორისო ფედერაცია — ისუ გვაძლევს. ამიტომ მას მზადებისას ფინანსური პრობლემა არ შეექმნება. ვთვლი, რომ მასაც და მურვანიძესაც ოლიმპიური ლიცენზიების მოპოვება შეუძლიათ, ეგაა, თითო ქვეყანას თითო ლიცენზია ერგება. თუმცა შანსი მაინც არის. ლიცენზიები 2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შედეგების მიხედვით გაიცემა: პირველ 24 ადგილს ავტომატურად ერგება ლიცენზია, პირველ ათეულში მოხვედრა კი კიდევ ერთ ლიცენზიას იძლევა. იმედი გვაქვს, ორ ლიცენზიას მოვიპოვებთ.

**— საერთაშორისო ფედერაცია, ჩანს, ძველებურად ხელგაშლილად გეხმარებათ...**

— დიახ და ეს მისი იტალიელი პრეზიდენტის ოტავის ჩიკუანტეს დამსახურებაა. ამ კაცმა ჩვენს სახეობაში რევოლუცია მოახდინა და დიდძალი ფულის დაბანდება შეძლო. ამ თანხებით ის ეროვნულ ფედერაციებს მართლაც გულუხვად ეხმარება. გამონაკლისი არც ჩვენ ვართ. სწორედ ამ თანხებით ვახერხებთ ჩვენი საუკეთესო სპორტსმენების საზღვარგარეთ სავარჯიშოდ გაშვებას, ჩვენი სკოლის შენახვას, სადაც 400-მდე ბავშვი ვარჯიშობს. მაქსიმალურად ვცდილობთ, ეს თანხები ყაირათიანად ვხარჯოთ, ამიტომ თუ ვინმე დიდ ყინულზე უპერსპექტივოა, მას ფულს არ დავახარჯავთ და იმ თანხას ბავშვთა სპორტს მოვახმართ, თანაც სატურნირო პროგრამასაც გავიმრავალფეროვნებთ — თუ დღემდე ჩვენები მხოლოდ ერთეულებში გამოდიოდნენ, გაისად სპორტული ცეკვების წყვილიც გვეყოლება — თორნიკე ტუკვაძე და ტატიანა სევიანერი.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აიაქსმა აიაქსს მოუგო

არ გეგონოთ, ამ ფოტოზე ამსტერდამის „აიაქსის" ორმხრივი ვარჯიში იყოს გამოსახული. უბრალოდ ჰოლანდიური კლუბი შორეულ სამხრეთ აფრიკაში, ქალაქ კეიპ ტაუნში ჩავიდა და ახალშექმნილ სეხნიას, იქაურ „აიაქსს" ამხანაგურად ნაებურთავა. ახალი „აიაქსი" მას შემდეგ შეიქმნა, რაც კეიპ ტაუნის „სპურზი" და „სევენ სტარზი" გაერთიანდნენ და აქციათა 51 პროცენტი სახელოვან მამობილს გადაულოცეს.

მატჩი 5:0 დასრულდა. ვინ მოიგო ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს — სახელოვანმა „აიაქსმა" ასე გაანადგურა თავისი მოსახელე. ამ მომენტში კი მასპინძელი ეძაი კასინიუ (№7) და ამსტერდამელი ანჟეი რუდი ბურთისთვის იბრძვიან.

REUTERS კეიპ ტაუნიდან






*როგორ შეიძლება ერთი პატარა ბურთის დაჭერით მთელი დარჩენილი ცხოვრება უზრუნველყოფილი იცხოვრო? ამის ერთადერთ და საუკეთესო მაგალითად ვინმე ფილიპ ოზერსკი გამოდგება, რომელიც 27 სექტემბერს კეტბურთელ მარკ მაკგვაიერის მიერ სარეკორდო 70-ე ჰოუმ რანად მოგერიებულ ბურთს საჭირო დროს და საჭირო ადგილზე დაუხვდა. ხელის მოთბობის ცდუნებას ფილიპმა რამდენიმე კვირა კი გაუძლო, მაგრამ ისტორიული ექსპონატის ფერებით გული რომ იჯერა, იგი გასაყიდად ნიუ იორკის „მერნსის" აუქციონზე გაიტანა. ბურთი უცნობმა მყიდველმა შეიძინა 3,05 მილიონ დოლარად, რისგანაც პირადად ოზერსკის 2,7 მილიონი ერგო.*

REUTERS ნიუ იორკიდან



# ბიორნ დელიმ ვენის ცენტრში თხილამურებით ჩაიშხუილა

დიდი ნორვეგიელი მოთხილამურე ბიორნ დელი ამ სურათზე ვენის ცენტრში მოწყობილი შეჯიბრების დროს სენტ სტივენის ეკლესიასთანაა აღბეჭდილი. საჩვენებელი შეჯიბრი უჩვეულოდ მოკლე დისტანციის — სულ რაღაც 100 მეტრი სიგრძისა გახლდათ და 18-28 თებერვლის რამსაუს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის რეკლამის გაწევას ემსახურებოდა.




REUTERS ბერხტესგადენიდან



გერმანიის სამთო კურორტ ბერხტესგადენში სნოუბორდისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი გახურებულა. ცნობილი ფრანგი ფეხბურთელის მოგვარემ იზაბელ ბლანმა პარალელურ გიგანტურ სლალომში ყველაზე სწრაფად ჩაიქროლა დალმართებში და მეტოქეებს ამერიკელ როზი ფლეტჩერსა და შვედ ასა ვინდალს გამარჯვების არანაირი შანსი არ დაუტოვა.

ცნობილი სპორტსმენების გვერდით ფოტოგრაფებთან პოზიორობა პოლიტიკოსებისთვის ნაცნობი ხილი გახლავთ. სურათზეც ბულგარეთის პრეზიდენტი პეტარ სტოიანოვია აღბეჭდილი, რომელმაც 1998 წლის ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად აღიარებულ ეკატერინა დაფოვსკას დაუმშვენა გვერდი. დაფოვსკამ ნაგანოს ოლიმპიადაზე 15 კილომეტრიან დისტანციაზე ოქროს მედალი მოიპოვა.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური ფეხბურთის განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი **კალათბურთის განყოფილება** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე **ინფორმაციის განყოფილება** ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79,
საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29